პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 23 (76). კვირა, 15 ივლისი, 1945 წ. ფასი 1 მან.

## დღეს ნომერში

— მხატვრულ-მეცნიერული წიგნი (მოწინავე).
— **ალიო მაშაშვილი** — ლავრენტი ბერიას (ლექსი).
— **შალვა აფხაიძე** — საყვარელ სახელს (ლექსი)
— **ვარლამ ჟურული** — სიმღერა მარშალ ბერიაზე. (ლექსი).
— სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.
— **ნიკო ლორთქიფანიძე** — დავით ალმაშენებელი.
— **დიმიტრი ბენაშვილი** — ვაჟა-ფშაველა.
— პროფ. **დიმიტრი არაყიშვილი**—ია კარბელაშვილი.
— **გრიგოლ აბაშიძე** — ვინ დიდი და ვინ პატარა.
— **დავით შამათავა**—საფრონტო დღიური.
— **ლევან ასათიანი** — აკაკი წერეთლის შვილი.
— დოც. **ქ. მაჭავარიანი**—ნ. ბარათაშვილის წერილების ავტოგრაფები.
— ახალი წიგნები.
— რაიონული თეატრების ახალი დადგმები.
— ბიბლიოგრაფია, ქრონიკა და ინფორმაცია.

## მხატვრულ-მეცნიერული წიგნი

ახლახან დამთავრდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არსებობის ორასოცი წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაული, რომელმაც საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო.

არასოდეს და არსად მეცნიერება ისე ახლო არ ყოფილა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან და მის საჭიროებასთან, როგორც ჩვენში — საბჭოთა კავშირში. ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** მზრუნველობის მეოხებით მეცნიერება მჭიდროდ დაუკავშირდა ჩვენი მეურნეობის და კულტურის მშენებლობას. სტალინური ხუთწლედების გიგანტური მშენებლობა მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა უშუალო და უახლოესი მონაწილეობით, მათ მიერ მოპოვებული აღმოჩენებისა და მიღწევების სრული გამოყენებით. ყველასთვის ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა მეცნიერებამ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ხოლო საბჭოთა მეცნიერების მონაწილეობა სამამულო ომში დღეს აღიარებულია და დიდათ დაფასებულია მთელი მოწინავე კაცობრიობის მიერ. საბჭოთა მეცნიერებამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია საბჭოთა ხალხს, მის წითელ არმიას, აღჭურვა რა იგი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე სრულყოფილი სხვადასხვა სახის საბრძოლო ტექნიკით. საარაკო და გასაოცარია კერძოდ მედიცინის და მის მომიჯნე მეცნიერებათა მიღწევები, საბჭოთა მედიცინის უდიდესი ღვაწლი სამამულო ომის პერიოდში.

ეს ჩინებულად ესმის საბჭოთა ხალხს, და სწორედ ამიტომ იყო, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის იუბილემ ესოდენ ფართო, პოპულარული ხასიათი მიიღო.

კერძოდ, დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ მეცნიერებამ საბჭოთა საქართველოში. ჩვენ უკვე გვაქვს საკუთარი აკადემია, რომელიც ათეულ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს და მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკთა კადრებს აერთიანებს. არა ერთი და ორი ქართველი მეცნიერის შრომები, გამოკვლევები და აღმოჩენები, მათი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორს, საზღვარგარეთაც.

დიდი **სტალინის** განსაკუთრებული მზრუნველობით შთაგონებული საბჭოთა მეცნიერნი აღწევენ გასაოცარ აღმოჩენებს, რომელნიც მთელს გარდატეხას იწვევენ ტექნიკის განვითარებაში.

ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი ხედავს მხოლოდ მეცნიერულ ძიებათა და აღმოჩენათა შედეგებს, პრაქტიკული გამოყენების ეფექტებს და მის მიხედვით დიდად აფასებს მეცნიერების და მეცნიერი მუშაკების ღვაწლს, მაგრამ რიგითმა ადამიანმა, ჩვეულებრივ, არ იცის, თუ რა ფიზიკური და ინტელექტუალური ენერგიის, რა სულიერი მღელვარების ფასად არის მოპოვებული ყოველი მნიშვნელოვანი მიღწევა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში; არ იცის, თუ რა რამდენაც პერსპექტივებს შლის ყოველი მნიშვნელოვანი გამოგონება მატერიალური და სულიერი კულტურის დარგში.

მეცნიერების, ტექნიკის და მათი მიღწევების პოპულარიზაცია არის უდიდესი საქმე, რომელსაც გვერდს ვერ აუქცევს მხატვრული ლიტერატურა.

სამწუხაროდ ეს ჟანრი, მხატვრულ-მეცნიერული ჟანრი ქართული მწერლობის ძალზე ჩამორჩენილი ჟანრია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ — ქართველებს, თითქმის არც კი მოგვეპოვება ორიგინალური ლიტერატურა, ხოლო ამ ჟანრის ნათარგმნი წიგნებიც თითზე ჩამოსათვლელია.

ქართული საბჭოთა მეცნიერების და მწერლობის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქცეს ამ ჩამორჩენის, ამ დიდი ხარვეზის ლიკვიდაცია.

დროა ქართულად დაიწეროს წიგნი, რომელიც მკითხველს ცოცხლად დაანახვებს მეცნიერებისათვის თავდადებულ ადამიანთა დაძაბულ მუშაობას, ძიებით აღსავსე მათ მღელვარე ცხოვრებას, მათი მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის ეტაპებს, ზოგჯერ გამარჯვებული კაცის სიხარულით, ხოლო ზოგჯერ იმედგაცრუებული [illegible] გულისტკივილით აღსავსე პერიპეტიებს.

— რასაკვირველია, — სწერდა ამას წინათ მოსკოვის ლიტერატურული გაზეთი, — იმისათვის, რომ დაიწეროს წიგნი მეცნიერების შემოქმედ ადამიანებზე, იმისათვის, რომ აისახოს მეცნიერება და ტექნიკა არა როგორც მზამზარეულ აღმოჩენათა საგანძური, არამედ როგორც ძიებისა და ბრძოლის ასპარეზი, საბჭოთა მწერლისათვის საკმაო არ არის საკუთარი პირადი გამოცდილება და საერთო განათლება. მწერალს დასჭირდება თავისი ცოდნის მარაგის გაფართოება, ყოველმხრივი ზუსტი შესწავლა მეცნიერების იმ დარგისა, რომლის შესახებ იგი მხატვრული ნაწარმოების შექმნას განიზრახავს. ისიც ცხადია, რომ მხოლოდ წიგნებით ვერ შემოფარგლავს მწერალი მხატვრულ-მეცნიერული ნაწარმოების დასაწერად საჭირო წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას. იმისათვის რომ მან, — მწერალმა, მოგვცეს არა მარტო მეცნიერულ ძიებათა შედეგი, არამედ ამ შედეგისათვის მებრძოლი მეცნიერის ცოცხალი სახე, მისი ბრძოლის პერიპეტიები, მისი შინაარსიანი ცხოვრების სიტკბო და სიმწარე — მწერალი უნდა გაეცნოს თავისი მხატვრული წიგნის ობიექტად არჩეული მეცნიერების ადამიანებს, დაამყაროს მათთან მჭიდრო თანამშრომლობა, აქციოს მათი მოღვაწეობა და ცხოვრება თავისი დაკვირვებისა და შესწავლის საგნად.

მხატვრულ-მეცნიერული ლიტერატურის შექმნა უაღრესად დიდი, საპასუხისმგებლო საქმეა, რომლის მოსაგვარებლად აუცილებელია ლიტერატურული და სამეცნიერო ორგანიზაციების ახლო თანამშრომლობა. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა და საგამომცემლო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ, რომ უფრო მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა დამყარდეს მეცნიერებსა და მწერლებს შორის, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებსა და მხატვრულ სიტყვის ოსტატებს შორის. ეს საჭიროა არა მარტო მხატვრულ-მეცნიერული ლიტერატურის შესაქმნელად, არამედ ჩვენი მწერლების ლიტერატურული კვალიფიკაციის გასაღრმავებლად, მათი გონებრივი ჰორიზონტის გასაფართოებლად.

ქართულ ენაზე ჩვენ არ მოგვეპოვება მხატვრულ-მეცნიერული ლიტერატურა. ჩვენ იგი უნდა შევქმნათ. საფუძველი ამ საქმეს, პირველყოვლისა, უნდა ჩაუყაროს მწერალთა კავშირმა, რომელმაც უახლოეს ხანში უნდა მოიწვიოს მწერალთა და მეცნიერთა გაფართოებული თათბირი პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტისათვის.

## ახალი კინო-თეატრები საქართველოში

საქართველოს რაიონებში გაცხოველებით მიმდინარეობს ახალი კინო-თეატრების მშენებლობა. წელს საქართველოს დაბა-ქალაქებში ამუშავებული იქნება ოცამდე ახალი კინო-თეატრი. რამდენიმე ხნის წინად ქ. ცხაკაიაში დამთავრდა მშენებლობა თეატრისა, რომელიც ხუთას მაყურებელს იტევს. თეატრის დარბაზი კარგად არის მოწყობილი, მას აქვს ესტრადა — კონცერტების გასამართავად. დაახლოებით ასეთივე ტიპის კინო-თეატრები შენდება სხვა სარაიონო ქალაქებში. მოკლე ხანში ათი საბავშვო სტაციონალური კინო-თეატრი გაიხსნება ქუთაისის, ზუგდიდის, ზნაურის რაიონებში და სხვაგან.

## ქართული პოეზიის ანთოლოგია აფხაზურ და ოსურ ენებზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ამ უახლოეს ხანში აფხაზურ და ოსურ ენებზე ითარგმნოს და გამოიცეს ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. გადაწყდა აგრეთვე ქართულ ენაზე ითარგმნოს და გამოიცეს აფხაზი და ოსი პოეტების საუკეთესო ლექსთა კრებულები. კრებულების გამოცემის ორგანიზაცია დაკისრებული აქვს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“.

ალიო მაშაშვილი

## ლავრენტი ბერიას

ჩვენ გავიმარჯვეთ! ხარობს ქვეყანა,
დე, არწივებმაც ფრთები გაშალონ,
ვაშა! დიდება ჩვენს სიამაყეს,
ვაშა! საბჭოთა ქვეყნის მარშალო!

განსაცდელის ჟამს, როს თავგანწირვით
მტერი გვიქადდა ცეცხლის გაჩენას,
ქართლს მოევლინე გმირი არწივი
ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად.

წინ მოგიძღოდა დროშა ბრწყინვალე —
მთავარსარდალის ბრძნული სახება.
ხალხს ამხნევებდა ორი მწვერვალის—
კრემლის და გორის გადაძახება.

გმირთა მარჯვენით შეკრული ზღუდე
მტერს არ დაუთმე, არ ჩააბარე,
დასტრიალებდი მშობლიურ ბუდეს, —
არწივის კალთა გადააფარე.

და კავკასიის ძმადნაფიც ერებს
ჩამოაშორე ღამის წყვდიადი,
სითბო შეჰმატე ალგზნებულ კერებს,
შეუნარჩუნე ხალხს განთიადი.

ჩვენი სამშობლო არ დაეცემა,
შენი ძალაა შიგ ჩაკირული,
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა
შენი ბრძოლა და საქმე გმირული.

ჩვენ გავიმარჯვეთ! ხარობს ქვეყანა,
დე არწივებმაც ფრთები გაშალონ,
ვაშა! დიდება ჩვენს სიამაყეს,
ვაშა! საბჭოთა ქვეყნის მარშალო!

შალვა აფხაიძე

## საყვარელ სახელს

ირხევა ბაღი და ბაღში მრავალ
ვაჟკაცის გული დუღს მოცახცახე,
ყველა მათგანი ერთ სახელს შესტრფის, —
საყვარელ სახელს.

ჰქრის თბილი სიო და აციმციმებს
ციურ ზვირთებში დახატულ სახეს,
ზვირთები ზვირთებს ეჩურჩულება
საყვარელ სახელს.

მივყვები ლხენით მტკვრის სანაპიროს,
ვხედავ, — ბუჩქებში ია თვალს ახელს,
ყურს ვუგდებ, მესმის, რომ იაც მღერის
საყვარელ სახელს.

ეს რა ნათელი გადმოდის ციდან,
ეს რა ნათელი მოსავს სასახლეს!
მესმის სვეტებიც იმეორებენ
საყვარელ სახელს.

აი მთაწმინდა, სადაც ვარსკვლავი
ღამით ვარსკვლავებს გადაუძახებს,
ძირს კი ყვავილნი ფერებით სწერენ
ბერიას სახელს.

ვარლამ ჟურული

## სიმღერა მარშალ ბერიაზე

დიდი ბელადის მარჯვენავ,
სამშობლოს მტკიცე კედელო,
ხარ გამარჯვების გაჩენა
ბრძოლაში შეუდრეკელო!

გზა ია-ვარდით ბრწყინდება
სად წინამძღოლად შენა ხარ.
ხარ საქართველოს დიდება
კავკასის გადარჩენა ხარ.

შენი იმედით ლერწამი
გრიგალშიც არ შერხეულა,
არ დაღვრემილა ერთ წამით
არც მტკვარი, არც მერხეულა.

როცა მოვარდა ხანძარი,
გესმა დედების მოთქმანი,
მტრის დასალეწად დასძარი
ხერხეულიძეთ მოდგმანი.

მთების ყოველი კლდე-კარი
საკუთარ მკერდით შეჰკარი.
შეჰყარე გმირთა ლაშქარი,
ურდოებს მარჯვედ დაჰკარი.

თერგსაც დიდება სწადია,
ცასაც ზეიმით ვეხებით.
ახლა ბერლინში დადიან
შენი ძაუგის ვეფხები.

მიწა იშუშებს იარებს,
სადაც კი ზრუნვით გაივლი —
სიყვარულს გაგიზიარებს
მინდვრად გაშლილი ყვავილიც.

მადლობას გითვლის მყინვარიც,
მწყემსებიც ასე მღერიან:
— ჩვენი მფარველი ვინ არი?
— რკინის მარშალი ბერია.

ბელადის გულის ნება ხარ
სამშობლოს ჯავშან-კედელო
მუდმივი გამარჯვება ხარ
სიმტკიცის ოქრომჭედელო!



## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასთვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის მარშლის** სამხედრო წოდება ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 9 ივლისი.

## სამამულო ომის ფოლკლორი

სამამულო ომის წლების განმავლობაში უკრაინის ხალხმა მდიდარი და საინტერესო ფოლკლორი შექმნა. ხალხური სიმღერა, ლექსი, ანდაზა — შექმნილი ცხარე ბრძოლის დღეებში, გამოხატავდნენ მილიონობით საბჭოთა პატრიოტების უგულითადეს მისწრაფებას თავისუფლებისაკენ, ეს ხალხური ქმნილებანი აღსავსენი არიან უღრმესი სიძულვილით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიმართ.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის, ფოლკლორის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ხალხში გაფანტული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩასაწერად და შესაგროვებლად. ინსტიტუტის მუშაკებმა ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ჯერ ისევ ომის დღეებში; უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ამხ. როდინამ პარტიზანულ რაზმში ყოფნის დროს, კიევის ოლქში ჩაიწერა რამდენიმე ათეული სიმღერა, უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა სუხობრუსმა დნესტრის მიდამოებში შეჰკრიბა მრავალი ფოლკლორული ნაწარმოები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა პლისეცკიმ ჩაიწერა ასზე მეტი სიმღერა კიევზე.

ამჟამად ინსტიტუტმა დასაბეჭდად მოამზადა ვრცელი კრებული: „დიდი სამამულო ომის ფოლკლორი“. კრებულში შეტანილია ათასხუთასამდე ნაწარმოები: ხალხური სიმღერები, ლექსები, პარტიზანული ფურცლები, წერილები იატაკ-ქვეშეთიდან და სხვ.

ამ სიმღერებსა და ლექსებში უკრაინის ხალხი დიდების ჰიმნს უმღერის ბოლშევიკების დიად პარტიას, წითელ არმიას, მის უმაღლეს მთავარსარდალს — საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ **სტალინს,** რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხები ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიიყვანა.

კრებული გამოდის ხსენებული ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს მაქსიმ რილსკის საერთო რედაქციითა და წინასიტყვაობით.

ლიტერატურული ცხოვრება

## ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 30 წლისთავი

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს სრულდება ჩვენი დიდი პოეტის ვაჟა ფშაველას გარდაცვალების 30 წლისთავი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ფართოდ აღნიშნოს ეს თარიღი. ვაჟა ფშაველას საიუბილეო დღეების ჩასატარებლად პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია, რომელშიაც შედიან: ალ. აბაშელი (თავმჯდომარე), პ. ინგოროყვა, ი. გრიშაშვილი, გ. ქიქოძე, შ. აფხაიძე, დ. ბენაშვილი და ნ. ჩაჩავა (მდივანი).

კომისიამ უკვე გამოიმუშავა ვაჟა-ფშაველას საიუბილეო დღეების ჩატარების გეგმა. ამ გეგმით 9 აგვისტოს, დღისით მთაწმინდაზე ვაჟა ფშაველას საფლავთან გაიმართება პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი, იმავე დღის საღამოს რუსთაველის თეატრში შესდგება მხატვრული ლიტერატურული საღამო მწერლებისა და თბილისის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით.

10 და 11 აგვისტოს მწერალთა მონაწილეობით დუშეთში გაიმართება ვაჟას შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, ხოლო სოფელ ჩარგალში — მიტინგი.

საღამოები გაიმართება აგრეთვე ბათუმსა, სოხუმსა და ქუთაისში. პერიოდულ პრესაში დაიბეჭდება წერილები ვაჟა ფშაველას შემოქმედების სხვადასხვა საკითხებზე.

## ოსეთის მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა ერთერთ თავის მორიგ სხდომაზე მოისმინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის ამხ. მ. შევლოხოვის მოხსენება ოსური მწერლობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა: 1. აღიძრას შუამდგომლობა, რათა უახლოეს ხანში განახლებულ იქნეს ყოველთვიური ოსური ჟურნალის „ფიდიოგის“ გამოცემა, 2. მიმდინარე წლის დამლევამდე მივლინებულ იქნას ქართველ მწერალთა ბრიგადა სამხრეთ ოსეთში ოსეთის მწერალთა კავშირის გამგეობის არჩევნების ჩასატარებლად და ქართულ-ოსური ლიტერატურული საღამოების გასამართავად ქ. სტალინირსა და სარაიონო ცენტრებში.

**ნიკო ლორთქიფანიძე**

# დავით აღმაშენებელი

## (ნაწყვეტები ისტორიული ტეტრალოგიიდან)

— ძალიან ბლანტი კი არის შენი ცხენი...

— რას უწუნებ?...

— ამდენი გზა გამოვიარეთ და ერთი არ მინახავს შეფუცხუნებული...

— ჩემსავით დინჯია, ლელოსაც ჩემსავით გაიტანს...

— უკაცრავათ, ქარაგმით თუ მეუბნები და ჩემს ცხენს ადარებ — ნამეტარია!

— დამერწმუნე, ბევრად უკეთესია... ჯერ გზის მესამედი არ გაგვივლია და ხომ ატყობ, უკვე მოიქანცა; ჩემი ცხენი კი თავიდანვე არ ჩამოგრჩენია, არც ეხლა უკლებს ნაბიჯს...

— შეხედე ამ ძუა-ფაფარს, მოღერებულ კისერს, ამ მკერდს... და ახალგაზრდა მხედარმა ქუსლი ჰკრა და ტლაპოს, რომელიც გზას სჭრიდა, გადაახტუნა.

რევაზის ცხენმა დაყნოსა თხრილი და გადააბიჯა.

— სააშიკოთ, სალაღობოდ, ფიცხელი ომისათვის კარგია, მაგრამ ხანგრძლივ ჯაფისათვის არ გამოდგება!

— აბა ყოველთვის ჩაფიქრებული როგორ იაროს კაცმა, — ჩაერია მუსაიფში მესამე...

გალავანს რომ მიადგნენ მგზავრთა შორის მეგობრული ქცევა-ლაპარაკი უეცრად შეიცვალა. გალავანთან მხლებლები ჩამოხტნენ. ციხის ჭიშკართან ბეგლარმა თავისი ცხენი უკან მომდევარს მხლებელს გადასცა... მარტო რევაზი შევიდა... მაგრამ მანაც მალე მოუხვია მარჯვნივ, ხეებზე მიკვთებულ ბოგასთან ჩამოხტა და ტანსაცმელი გაისწორა.

— მობრძანდით! — მიეგება ერთი ფარეშთაგანი — სასტუმრო აქვე გახლავთ.

სასტუმროს კარებთან სახლთუხუცესი შეხვდა, და ღრმა თაყვანი სცა.

— ბატონები როგორ ბრძანდებიან?

— გმადლობ, კეთილად; დღეს მცირე ხადიში აქვთ და, თუ დაღლილი არ ბრძანდებით გთხოვთ.

ბეგლარმა სახლთუხუცესს გადახედა.

— წავიდეთ!

— ვინ არის? — დაეკითხა სახლთუხუცესი და, როცა გაიგო, უეცრად სრულიად გამოიცვალა, ხელების ფშვნეტით გაიქცა და სუფრაზე მსხდომთ მოახსენა.

— ბატონიშვილი რევაზი!

— მობრძანდეს! — მიუგო საყელო გაღეღილმა სეხნიამ, რომელიც ტუჩზე სავსე თასის მიდგმას აპირებდა.

— მობრძანდეს! როგორ შეხიქვისლი ხომ არ გგონია... მიეგებე...

სეხნიას, ცოტა არ იყოს, ეხამუშა მამის სიტყვები. მაგრამ თასი მერიქიფეს მსწრაფლ გადასცა და სტუმარს მიეგება.

სტუმარი უკვე კარებში შემოდიოდა.

— ღვთის წყალობა და გამარჯვება პატიოსან ილარიონის ოჯახს.

— ღმერთმა გაუმარჯოს ილოსის მთავარს! — უპასუხა მოხუცმა მასპინძელმა. — მობრძანდი, აი, აქ სათავეში...

— ეხლავ სიამოვნებით... მხოლოდ ჯერ თქვენს მეუღლეს ოჯახის ქალბატონს ვეახლები.

— აი, ბატონო, ეს დედაჩემი გახლავთ და ესეც ჩემი უფროსი ძმის მეუღლე, — გააცნო ახალგაზრდამ ოჯახის უმთავრესი წევრები.

რევაზმა ორივე ხელი ერთმანეთზე დააწყო. ქალებმა, ჯერ ერთმა და მერე მეორემ თავისი ხელი ზედ დაადვეს. რევაზი ღრმად იხრებოდა, თითქოს ერიდებოდა ხელის მაღლა აწევით მანდილოსნები არ შევაწუხოო; ემბორა; ქალებმაც თავზე აკოცეს...

ყველა ფეხზე იდგა... მხოლოდ ვინც კედელზე მიდგმულ გრძელ, მთელი კედლის გასწვრივ ტახტზე იჯდა, იგი ნახევრად გადმოხრილი იყო უხერხულობის გამო.

მერიქიფემ ღვინო ხელმეორედ ჩამოარიგა.

— აბა, მომღერალნო, ეხლა გმართებთ...

— დამითმე, ბატონო, ორი სიტყვა მოგახსენო.

— ბრძანე!

— პირველად ვარ ჩემი ქვეყნის დიდებულთა შორის. ღმერთს ვთხოვ თქვენ მომპყრობოდეთ, როგორც ჩემს გვარსა და შეძლებას შეეფერება, და მოგეთხოვოთ, რის მოქმედებაც კი შემიძლია... ღვთისმშობელი შეეწიოს ამ ოჯახს მეფის ერთგულებაში, ღვთის მსახურებაში, სამშობლოს დაცვაში და ყოველ კეთილ განზრახვაში.

— ამინ! — მიაძახეს აქეთ-იქეთ.

— დაადგა ნათელი მამიშენის საფლავს.

— ბიჭო, თავის დამღუპველს როგორ იხსენიებს.

— თვალთმაქცია!...

— თავს გვიქონავს...

— გვასულელებს... სისინებდნენ ზოგნი.

— აბა, დამკვრელნო!

გაჩაღდა სმა.

— აბა, ეხლა იწყება ქეიფი, — გადასძახა ხელმეორედ მოხუცმა მამასახლისმა ცალკე სუფრაზე მჯდომ მომღერლებსა და დამკვრელებს, — ჩვენი ქვეყნის თვალის ჩინი გვესტუმრა.

გაჩაღდა ქეიფი. გაჩაღდა ბაასიც.

სტუმრის თავდამბლობა მოხუცთ მოსწონდათ; თავაზიანობა, ენაწყლიანობა და კრძალვა — მანდილოსანთ; ვაჟკაცური მიხვრა-მოხვრა, თავისუფლად დიდი სასმისების დაცლა — ყმაწვილებს და უხვი მოსაკითხი და სახუქრები — მსახურთ და მომღერალ-დამკვრელთ.

მოხიბლული იყო მთელი სასახლე.

— ზოგმა იქნებ არ იცოდეთ, მიმართა მასპინძელმა — ივერი სტუმარი დიდი ზუობის შვილია, სამი წლის დარჩა მამას. თორმეტი წლის,—მოხუცმა გადახედა სტუმარს.

— დიახ ბატონო, თორმეტი გახლავთ.

— ...ჩერქეზებში ჰყავს დედამისს გადახიზნული, — გააგრძო მოხუცმა. როცა ოჯახის ცხოვრებას აერია, წინდახედულმა ქალბატონმა დედულეთს გაგზავნა, ბებია თქვენი დიდი ცბიერი და ბრძენი თემურყოფეგის შვილი ბრძანდებოდა.

— დიახ, ბატონო!

— ...და აი ახლა მობრძანდა... არ შევალ განხილვაში, — ბატონი მეფე უქიფოთაა და თქვენ თვალწინ მიდგეხართ, უხერხულია, მაგრამ ჩემს ქალარას დაუჯერეთ, ბევრი მიფიქრია და მგონი, არცერთი არ არის დამნაშავე, — სხვაგვარად არცერთს არ შეეძლო ემოქმედნა... თვით შენ არ გამოიცდიხარ ომში, არ ვიცი შენი გულის თვისება, მაგრამ ღმერთმა ჰქმნას ისეთი შემკული ყოფილიყო ყოველის მხრით, როგორც პირველ ნახვაზე კაცს ეჩვენები!

რევაზი თავიდანვე ფეხზე იდგა. ეხლა ყველანი ადგნენ და დალოცეს.

მრავალჟამიერით გუგუნებდა მთელი დარბაზი. პატივსაცემლად ქალებიც ლებულობდნენ მონაწილეობას.

მრავალჟამიერს მადლობელი მოჰყვა და მაშინ რევაზმაც მაღალი და თან ტკბილი, თავისუფალი ხმით შემოსძახა.

დიასახლისს გაუკვირდა.

— იღიეე ივერიც იგეიეუურად იღერიან?

— არა, ქალბატონო, მაგრამ დედა გალობის მოყვარული იყო და სავიოჯიოთ კიდევ ოთხი კაცი გამოიყვანა.

— ძალიან ილექმოსათ ჩოიეე ხესს?

— ძლიერ, ქალბატონო, ბევრმა ისწავლა კიდეც!

საქალეთი შეიძრა და აჩურჩულდა. ყმაწვილი გულში ვერ ჩაიტიეს და აირიეს ეკერათ.

— რა მშვენიერი ხმა აქვს!

— რა ულვაშები!

— შენ გიყურებდა...

— რა ახალგაზრდაა! პირველი ყმაწვილია საქართველოში...

— შენთვისაა მოფრენილი, ნეტავი მენ!

მხოლოდ პირუთვნელი დედისერთა რუსუდან ჩუმათ ბუტბუტებდა: ახ მაგი ახ არავის... მამას ვთხოვ ყოველივე მომიმოქმედოს... მეც ხომ გოგოთ კითვლები...

— შენ რას შვრები მანდ შე გომბიო! — მიმართა დეიდამ პატარა გოგონას, რომელიც თვალდახუჭული ცდილობდა მაჩვენებელი თითები ერთმანეთისათვის ჩქარ-ჩქარა მიერტყმია და ფუჩუნებდა:

— ჩემია? არა? ჩემია? არაა?

შეკითხვაზე დეიდას ვერ უპასუხა, თვალი გაახილა, შემობრუნდა, დარცხვენილი გაჩერდა და თავში კი ელვასავით გაურბინა: „გომბიო კი არა, ძლიერ კოხტა ქალი ვარ!“ — და მეტისმეტად გაწითლდა.

— უი, თვალები კი დამიდგა, ეს მაიმუნიც კი ჩვენს სტუმარზე ფიქრობს... — უფრო მოზრდილმა ქალებმა კისკისი დაიწყეს.

— მაგანაც თუ საქმრო წაგვართვა, დავრჩენილვართ სამუდამოდ...

პატარა გომბიო კი რაღაც ყნოსვით გრძნობდა რომ მისი ბედი ცის კაბადონზე გამოჩნდა და ყოველგვარი მანქვა-გრეხა სხვას ვეღარ უშველიდა და გული საამოდ უტოკავდა...

ოდნავ შეზარხოშებული ვაჟნი და მხიარულნი ქალნი აიყარნენ.

ღვინო არავის ეტყობოდა.

მხოლოდ მეტი იყო ღიმილი, სიცილი, ოხუნჯობა და პაექრობა.

ვინც კიდევ ვერ შორდებოდა ღვინოს იგი შეუერთდა სამზარეულოს წინ მსახურთა და ფარეშთათვის გაშლილ გრძელ სუფრას, სადაც ისეთივე გულუხვობა, სიმღერა და დაკვრა იყო, როგორც ბატონთა სუფრაზე, მხოლოდ ძაღლების ხროვა ერეოდა თავისი ჭყავ-ჭყავით...

მოხუცმა დიასახლისმა რევაზის თხოვნით დაუკრა ჩონგური და დაამღერა ტკბილი „მზე შინ შემოდიო“. ახალგაზრდა თავადის ქალმა იცეკვა რევაზთან ერთად.

სადღაც კუთხეში ისმოდა კამათლის ჩხარუნი.

და ხის ძირში სინჯავდნენ ერთი შემორტყმით ტყავის გაჭრას; ისრით ხრიკის გახვრეტას.

ყოველივე ნელ-ნელა ბნელდებოდა,—საღამომ მოაწია; ზოგს უჩინარმა მთქნარებამ გადურბინა სახეზე.

* * *

— შენ რა გინდა, მორჩილო, ჩემს დარბაზში დაუკითხავად? — მიმართა მოხუცმა მამასახლისმა ახლად შემოსულს უცნობს, რომელიც ხატისაკენ იყურებოდა და პირჯვარს იწერდა.

— მომიტევე, ბატონო, კათალიკოსმა გამომგზავნა, გწყალობდეთ დედაღვთისა!

— რას მიბრძანებს ყოვლად უწმინდესი?

— გაცნობებთ, მეფე დიდი მწყალობელი, ქვრივ-ობერთა გამკითხავი და მოჭირნახულე ერისა, ფრიად ავად ბრძანდებაო...

ყველა შეკრთა... წამოდგნენ... მიუახლოვდნენ... ისმოდა: „ვაი ჩვენი ბრალი“... „ასისინდა ოსი, ლეკი“... „ვის გადურჩეთ“...

— კათალიკოსმა მოგახსენათ, — ხვალვე, თუ შესაძლებელი იქნეს შეკრიბოთ თქვენი საბატონო დიდი და პატარა და პარაკლისი გადაიხადოთ... ცის ქვეშ, რათა აღაღადდეს მთელი ქვეყანა ჩვენი...

— საწყალობელი დედოფალი,—ვაი მისი ბრალი, სხვას რა უჭირს — ბრძანა დიასახლისმა.

— კეთილი! —

— გწყალობდეთ უფალი.

— მოიცა, ღამე გაითენე!...

— გწყალობდეთ სული წმინდა... მე კიდევ უნდა ვიარო წირვამდის, სადაც კი მივასწრებ...

საერთო შეშფოთება მძიმე ლოდად დაეშვა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდნენ: ღმერთმა დაგვიფაროს, არ გაგვწირავს ღმერთი, ჯერ კიდევ ყმაწვილია...

— ბეგლარ, ჩვენ წავიდეთ.

— მოითმინეთ.

— არა, ბატონო, გზა დიდია და ორი წუთითაც ადრე მისვლა კარგია!

— წვიმას აპირებს, ბატონო.

— სანამ შევძლებთ, ვილით.

— რათ ნებულობთ ბატონო, შეეპატიჟნენ რევაზს მასპინძლები, — ეს ღამე გაითენეთ მაინც.

— ძლიერ მეჩქარება, თორემ უკეთეს ადგილს სად ვიპოვიდი?!

— ნუ გვაყოვნებთ, უნდა წავიდეთ, — დაადასტურა ბეგლარმა.

—გაგიმართლდა ხომ წინათგრძნობა, — უთხრა ბეგლარმა რევაზს...

— ეჰ, ღმერთმა ნუ ქნას!

— ამინ!

მსახურთ სადილი ვახშამზე უნდოდათ გადაეტანათ, მაგრამ ცუდმა ამბავმა შეკრა ყველანი.

მათ სუფრას შუახნის კაცი შემოესწრო. მისალმება არ აცალეს.

— რა ამბავია?

— ცუდი ამბავი, — მეფე ძლიერ ცუდათაა.

— მართალია? ბატონებიც ძლიერ ფაცა-ფუცში არიან...

— დიახ... გუშინ თვით დოსტაქარს უთქვამს — უიმედოთააო.

— უი, ჩვენს უბედურებას — აწუწუნდნენ მდაბიონი — ისევ დაიწყება თარეში...

— ზევითაც სტირიან!

— მაგათ რა უჭირთ, ჩვენ ვიკითხოთ...

* * *

ბერმა დაამთავრა დიდიხნის ნაშრომი, დასწერა უკანასკნელი სამი წერილი, ზე აიხედა და უნებურად, მადლობის ნიშნად აღაპყრო ხელი, მაგრამ საჩქაროდ წამოდგა, ხატის წინ დაიჩოქა და სასოებით წარმოსთქვა:

—ღმერთო, განკურნე მწყალობელი და გზის მაჩვენებელი ჩემი, მეფე საქართველოისა, — დავითი. ღმერთო მომმადლე, რათა ესე ნაშრომი ჩემი მცირე, ნიშნად ღრმა პატივსცემისა მიიღოს და კადნიერებანი ჩემნი მაპატიოს...

ისევ ადგა და ოდნავ განათებულ სენაკში დაიწყო სიარული.

—რა მივაწერო ქვევით? — ფიქრობდა იგი, — ხოტბა? არა! არ უყვარს ხელმწიფეს პირში ქება, — პირმოთნეობად ჩამომართმევს. შესაფერი ფსალმუნი დავითისა? არა! იგი ვერ გამოსთქვამს ჩემს გრძნობას. დავწერო ის, თუ როგორ შევინანიე ცოდვანი ჩემნი? არა! არა! წიგნს სხვაც წაიკითხავს, და რად უნდა იცოდეს უცხო პირმა, თუ როგორ მომეპყრო და როგორ მიხსნა ბოროტისაგან... მოკლედ მივაწერ:

**დავით მეფეს—მორჩილი ბერი.**

„ახლა კი ვნახავ, როგორი კაპადონი შეამზადა მან... დიდი ხელოვანი კი არის, იგი უცნობი ყმაწვილი“ — გაიფიქრა ბერმა, გაალო პატარა კარი და მეორე კარს მიადგა.

—ძმაო, შეიძლება!

—მობრძანდით, მამაო!

—გაგვიღეთ კარი, წმინდა მამებო! — მოისმა ამ დროს გალავნიდან.

—უი, საცოდავნი, ამ ქარბუქში სად დარჩენილან?

ცალკე მდგომ სენაკიდან უკვე გამოხტა ერთი მორჩილი, რომელსაც თავზე ფოთლებიდან გადაბწნილი რაღაც ჩაბალახისებური ეხურა, და კარებისაკენ გაიქცა.

სენაკში რევაზი და ბეგლარი შემოვიდნენ.

— მდინარე ისე აზვირთდა, ისეთი ხეები მოაქვს, რომ ვერ გავედით.. თან ამ კოკისპირულმა წვიმამ თქვენი მყუდროება დაგვარღვევინა, — ბოდიშით სთქვა რევაზმა.

—რად ბოდიშობთ... მე მოხარული ვარ, რომ ჩემი სენაკი ვისმე გამოადგა...

—მე ჩემ თავთან ვბოდიშობ, წმიდა მამაო, ისეთი საქმე მქონდა, რომ არ უნდა შევჩერებულიყავი, მაგრამ ბეგლარმა არ გამიშვა...

— დიაღ, მამაო კინაღამ წამოღებული ნამორის მსხვერპლი არ გახდა...

—აბა რა მექნა! იქნებ, ვერც კი ჩაუსწრო...

— დიაღ, მამაო, ჩვენ მივეშურებით მეფესთან.., ამბობენ ძლიერ, ძლიერ ავად არისო...

— უტყუარია ეგ თქვენი ცნობა?

— ყოვლად უწმიდეს კათალიკოსს შიკრიკები დაუგზავნია, — საერთო პარაკლისი გადიხადონო.

ბერს ოდნავ ხელები აუთრთოლდა. მკრთალმა სახემ სრულიად დაჰკარგა ფერი, ნელა დაესვენა სავარძელზე და უნებლიედ წაიბუტბუტა:

(გაგრძელება მე-4 გვ.)

**დიმიტრი ბენაშვილი**

# ვაჟა-ფშაველა

## წერილი მესამე

პოემა „გველის-მჭამელს“ თუ ბედი სწყალობდა ვაჟას პოეტურ ქმნილებათა შორის, სამაგიეროდ მას ბედი არ სწყალობდა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. დღემდე არ მომხდარა ამ ნაწარმოების ღრმა, საფუძვლიანი ანალიზი და ობიექტური შეფასება; იგი ამოუხსნელ ამოცანასავით სდგას ჩვენს წინ და ლოგიკურ ცნებებში ვერ გამოგვისახია ესთეტიური, ეთიური და ფილოსოფიური სიღრმე პოემისა, რომელსაც მხოლოდ ინსტინქტით ვგრძნობთ მისი ყოველი მკითხველი.

გონების თვალით თუ შევხედავთ „გველის-მჭამელს“,—მივალთ ერთ დასკვნამდე: ამ პოემის ლეიტმოტივი ის კი არ არის, რომ მინდიას უსულო საგნების მეტყველება დედაენასავით ესმის! უსულო საგნებთან გასაუბრების ეს ფორმა ვაჟაზე ადრე იყო ცნობილი ინდურ, ეგვიპტურ, ბერძნულ და ქართულ მითოლოგიაში. არც ისაა, თითქოს გამეცნიერებული მინდია სიბრალულისა და თანაგრძნობის ნიადაგზე ერიდება ხეების მოჭრას, ჯიხვების მოკვლას და ყვავილთა გათელვას; მაშინ მას არც კაცი უნდა მოეკლა, რადგანაც ბუნების მიერ გაჩენილ ორგანიულ სამყაროში ადამიანი ყველაზე უფრო სრულყოფილი და აბსოლუტურად ჰარმონიული არსებაა. ვაჟა პანთეისტი როდი იყო, რომ თავისი უმშვენიერესი ნაწარმოების ღერძად ექცია—ყვავილებთან, ხეებთან, უსულო ბუნებასთან ადამიანის პიროვნული შერწყმა და ამით უარი ეთქვა საზოგადოებრივ მოვალეობაზე. ხეებთან, ყვავილებთან, უსულო ბუნებასთან საერთო ენის გამონახვა ვაჟა-ფშაველას სჭირდება იმ მძაფრი კოლიზიების შექმნისათვის, რომელთა დრამატიულ გახსნაში გამოჩნდა პოემის სული. „გველის-მჭამელით“ ვაჟას სურს დაადასტუროს, რომ **სულიერი კავშირის დამყარება უსულო ბუნებასთან ეწინააღმდეგება ცხოვრების უზენაესს კანონს.**

ამ კატეგორული იმპერატივის დადასტურებას ვაჟა ახდენს არა შიშველი ლოღიკური ცნებების ენით, არამედ გრძნობად ფორმაში გადაყვანილი მაღალი და კეთილშობილი ფანტაზიით. თავისუფალი ფანტაზიის საშუალებით ვაჟას ადვილად შეეძლო ადამიანის ულრმესსა და უზოგადეს ინტერესთა მხატვრული დამორჩილება. „გველის-მჭამელში“ პოეტი სწორედ ამგვარი გაგებით იწყებს გმირების სულის შენებას; მაგრამ ადამიანების სულის შენების პროცესის დროს ვაჟა ძალდატანებას კი არ ახდენს გმირებზე და წინასწარ შემუშავებულ აზრს კი არ ახვევს თავზე, არამედ ბუნებრივად გმირის ფსიქოლოგიიდან გამოდის, როგორც აუცილებლობიდან. ადათებითა და ტრადიციებით შეკავშირებულ საზოგადოებაში დაბადებული გმირის ამგვარი აუცილებლობა—შემოქმედის მიერ შემეცნებული—გმირის სულიერ თავისუფლებაში გადადის. ამ ბუნებრივ გზას მიჰყვება ვაჟა—მინდიას, მზიასა და ჩალხიას სახეთა შექმნისა და ჩვენების დროს.

მინდიას წარმოდგენით — სამყარო ერთი მთლიანი და მგრძნობიარე ელემენტია, რომელიც არღვევს ორგანიულ და არაორგანიულ ბუნებას შორის მოთავსებულ ზღვარს; მას ღრმად სწამს, რომ „არს ენა რამ საიდუმლო, უსაკოთა და უსულთ შორის“. ამ ნიადაგზე გამონახა მინდიამ საერთო ენა ხეებთან, ყვავილებთან, უსულო ბუნებასთან. მას, როგორც ბრძენს, მოსაკლავად ისევე ებრალება ციცაბო კლდეებს შეხიზნული ჯიხვი, როგორც ადამიანის ფეხით გათელილი ყვავილი. მაგრამ სიბრძნე, რომელმაც მინდიას ახალი სული ჩაუდგა და ახალი ხედვა შიანიჭა, ბიბლიური თქმულების მსგავსად მიიღო გველისაგან—ქვეყანაზე ყველაზე უბოროტესი და უგონიერესი ქვეწარმავალისაგან. ლოგიკურად, რა კი მინდიამ გველისაგან მიიღო სიბრძნე, გველისაგანვე უნდა მიეღო ბოროტებაც, მაგრამ ვაჟამ აქ გვერდი აუარა ბიბლიას; თავის გმირს გველური ბოროტება მოაშორა და სიბრძნე დაამყნო მინდიას ადამიანურ ბუნებაზე. გამეცნიერებულმა მინდიამ გველის სახით მიღებული სიბრძნე ბუნების დიდ ლაბირინთში შესასვლელი კარების გასაღებად აქცია. ამ გზით მინდია ქაჯების ტყვეობიდან, როგორც აუცილებლობიდან, ნახტომს აკეთებს თავისუფალ ბუნებაში; მას ახალი სული ჩაედგა, ახალი ხორცი აესხა.

„ესმის დღეიდან ყოველი,  
რასაც ფრინველნი გალობენ!  
ან მცენარენი, ცხოველნი —  
როდის ილხენენ, წვალობენ“.

ვაჟას მშვენიერი პლასტიკური ფერებით აქვს დახატული ბრძენადქმნილ მინდიას გაცოცხლება ბუნების გაღვიძებასთან ერთად. როცა გაზაფხულის „ბრწყინვალე მოსვლასთან“ „სიდიადე და სიმხიარულე“ ბატონდება ბუნებაში, როდესაც „თამარ დედოფლის თვალებით“ მინდორზე დაფენილი ყვავილები თავისკენ უხმობენ სულდგმულს, მაშინ:

„მინდია გაფაციცებით  
სულ მიმოივლის მთა-ველსა,  
ყველა მცენარეს და მღილსა  
ის ეგებება სალმითა.  
ბუნებაც „ვაშას“ უძახის  
მდიდრად მორთულის ალმითა.  
ყვავილნი ყელგადაგდებით,  
დახატულები კალმითა;  
„მინდიას გაუმარჯოსო“,  
ერთხმად ასტეხენ ყიჟინსა,  
ხეები ფოთლებს არხევენ,  
ბუნება იწყებს ბიბინსა“.

ამის შემდეგ მინდიასათვის ფრინველთა ენა მშობლიური გახდა; ხეთა და ცხოველთა გულისტკივილი საკუთარ გულისტკივილად იქცა; ყვავილთა ჩურჩულში და წყაროთა ჩხრიალში მათ ბედს კითხულობდა:

„მარტოკა მინდიას ესმის  
მათი კვნესა და ჩივილი“.

ყოველივე ეს შეიძინა და ყველაზე უკეთესი გრძნობა კი დაჰკარგა. ადამიანის ადამიანური გულისთქმა მინდიას აღარ ესმოდა; იგი ადამიანებს მოსწყდა და განურჩეველ ბუნებას შეუერთდა, როგორც ერთარსება. მას მახვილი სმენა ჰქონდა „უსულო და უსაკო“ საგანთა საიდუმლო ენის გაგებისათვის, მაგრამ ყრუ იყო ადამიანთა მეტყველებისადმი. მინდია თანმიმდევარი და პრინციპული როდია თავის იდეალებში. გველისაგან მიღებულ სიბრძნეს ღალატობდა და, რაღაც ინსტინქტის ძალით, ადამიანურ გრძნობას უბრუნდებოდა. ხეების მოსაჭრელი ცულის მგმობელი—ადამიანის მომაკვდინებელ მახვილს ჰკიდებდა ხელს. ფეხით გათელილ ყვავილს დასტიროდა, ხოლო ადამიანის სისხლით იღებავდა ჯავშანს. ჩიტის დადუპულ შვილებს გლოვობდა, საკუთარ შვილებს კი სიკვდილით ემუქრებოდა.

მინდიას წარმოდგენით ბუნება რაღაც ღვთაებრივი ჰარმონიაა, მაგრამ, ვერ გრძნობდა თუ როგორი მძაფრი იყო ამ ბუნებაში არსებობისათვის ბრძოლა „უსაკოთა და უსულთ“ შორის, რომ შეუძლებელია ბნელ ხევში მოსულ იასა და დიდი ჭანდრის თანაარსებობა. ამ რთული სულიერი წინააღმდეგობითაა აღსავსე მინდიას პიროვნება. ამგვარმა წინააღმდეგობამ მინდია ფიზიკურად მოჰკლა. გმირის ფიზიკურ სიკვდილთან ერთად დაიღუპა არაორგანიულ ბუნებასთან სულიერი კავშირის დამყარების იდეაც.

პოემა „გველის-მჭამელის“ დაკვირვებულ მკითხველს უეჭველად დაებადება კითხვა: არათანმიმდევრობა და ულოგიკობა, რომელიც ახასიათებს მინდიას თავის მოქმედებაში, ხომ არ არის შედეგი ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისისა?! ჩვენ არა ერთხელ გვსმენია საყვედური ვაჟასადმი იმის გამო, რომ მინდია შებრალების მოტივით ხეებს არა სჭრის, ადამიანის ფეხით გათელილ ყვავილს დასტირის, ხოლო ჯარების სარდლად ყოფნის ჟამს მინდია პირბასრი მახვილით შეუბრალებლად ჰკლავს ადამიანებს. საყვედურის ავტორები ფიქრობენ, რომ აქ ვაჟაა დამნაშავე და არათანმიმდევრობაც პოეტის დაუდევრობით აიხსნება. ჩვენ შესავალში აღვნიშნეთ, რომ „გველის-მჭამელის“ ავტორი თავის თვალსაზრისს კი არ ახვევს გმირებს, არამედ ბუნებრივად გმირების ფსიქოლოგიიდან გამოდის მათი სულის შენების დროს. მაშ როგორ უნდა შევათავსოთ მინდიას არათანმიმდევრობა ვაჟასთან?! უამრავი ფაქტები შეგვიძლია დავასახელოთ იმის ნათელსაყოფად, რომ მინდიას თვალსაზრისსა და ვაჟას მსოფლმხედველობას შორის რადიკალური წინააღმდეგობაა. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს აღვნიშნავთ, **პირველი:** მინდიას გაგებით ბუნებაში ღვთაებრივი ჰარმონიაა, ამ ჰარმონიულობას მხოლოდ ადამიანი არღვევს. ვაჟა უფრო შორს იხედება და, როგორც ბუნების დიდი მესაიდუმლე, გრძნობს, რომ ჰარმონიულობას მარტო ადამიანი კი არ არღვევს, არამედ ყოველი ორგანიული არსი. სიცოცხლისადმი სიყვარული აიძულებს ბნელ ხევში, დიდი ჭანდრის ქვეშ მოსულ ლამაზ ყვავილს—იას უსაყვედუროს ჭანდარს უდროოდ სიკვდილი. ამაყმა ჭანდარმა მზის სხივი არ მიაკარა იას და იგი დაჭკნა. **მეორე:** მინდია საკუთარ შვილებზე გულაცრუებულია, რადგანაც ისინი მშობლისაგან ზრუნვას მოითხოვენ, ზრუნვა კი მას არ სურს გველისაგან მიღებული სიბრძნის დაკარგვის შიშით. ვაჟა-ფშაველამ, საწინააღმდეგოდ ამისა, მინდიას თვალწინ მინდვრის პატარა ფრინველს—ჩიტს თავი მოაკვლევინა დაღუპულ შვილების სიყვარულის გამო. **მესამე:** და განა მინდიამ გულწრფელად არ აღიარა თავისი დანაშაული შვილებისა და ოჯახის მიმართ!

„გთხოვ, მაპატიო, მზიაო,  
რაც გლანძღე, გაგაბრაზია.  
რასაცა ხედავ ჩემს თავზე,  
ღირსი ვარ, სწორედ ახია,  
ბალღები არ დამიჩაგრო,  
გთხოვ, კარგად შამინახაო!“

ამრიგად ტიტანური ბრძოლა, რომელიც გველისაგან მიღებული სიბრძნის შემდეგ დაიწყო მინდიას სულში **ქაჯურსა და ადამიანურ** საწყისს შორის, მთავრდება **ადამიანურის** გამარჯვებით.

მინდიას ეს სულიერი ფორმაცია მექანიკური პროცესი კი არ არის, არამედ ორგანიულად შერწყმულია ნაწარმოების მძაფრ სუჟეტურ ქსოვილში. სუჟეტური დახლართულობა, რომელიც ნაწარმოებს ინტენსიურობას ანიჭებს და მკითხველის საკუთარ ორბიტში შეყვანას უწყობს ხელს, ვაჟა-ფშაველას სჭირდება ადამიანის სულის ულრმესსა და უზოგადეს ინტერესების გამჟღავნებისათვის. სწორედ ამ მიზნით ვაჟამ მინდია შეგირდად მიაბარა ქაჯებს. ტყვედქმნილმა მინდიამ შვიდი წელი დაჰყო ქაჯეთთან და გველის სახით მიღებული სიბრძნით გამეცნიერდა. თემს მოწყვეტილი კვლავ დაუბრუნდა თემობას, მაგრამ სრულიად ახალი თვალით შეხედა ადამიანთა ურთიერთობას. პოემა „გველის-მჭამელის“ მკითხველი წინასწარ გრძნობს, რომ ახალი სიტუაცია უნდა შეიქმნას მთელ თემსა და ერთ ადამიანს შორის. სიტუაციის პირველი კონტურები, თუმცა განუსაზღვრელ და ზოგად ფორმაში, პირველად გამოჩნდა ლუდის სასმელად წიქასთან მისულ ხევსურთა წრეში. მთვრალი ხევსურები მინდიას სთხოვენ: „გვითხარი რამე, ღვთის მადლსა, ერთი ქართული გზიანი“. ხევსურთა თხოვნას მინდია უარით უპასუხებს და მიზეზად სიმთვრალეს ასახელებს: „მთვრალმა რა გითხრათ, კაცებო, ჭკუა სასმელმა დამალა, სათქმელი მერმისთვის დარჩეს, თუ კი სიკვდილმა მაცალა“. ამრიგად ვაჟამ ახალი სიტუაცია კვლავ განუსაზღვრელ მდგომარეობაში დასტოვა და მინდიას საკუთარი ამბავი არ ათქმევინა; წინააღმდეგ შემთხვევაში სიტუაცია კოლიზიად იქცეოდა, კოლიზია კი კონფლიქტად. თემსა და მინდიას შორის მაშინვე დაიწყებოდა განხეთქილება და პოემა, როგორც ხელოვნებითი ქმნილება, დაჰკარგავდა მიმზიდველობის ძალას და უბრალო ამბავის ფორმას მიიღებდა. ამავე დროს, გარკვეული სიტუაციის კოლიზიაში გადასვლამდე, უნდა დადგინდეს ნაწარმოების მთავარი გმირის ხასიათი, რომელიც ხელოვნების იდეალური გამოსახვის სულსა და გულს შეადგენს. ამ მიზნით, კოლიზიების გარეშე, ვაჟა-ფშაველა ეპიური სიდინჯით უყვება მკითხველს მინდიას გამეცნიერებისა და განსულიერებულ, არაორგანიულ ბუნებასთან სულიერი კავშირის დამყარების ამბავს. ამ გზით ჩვენთვის ნათელი ხდება გმირის ხასიათი. მაგრამ ეს ნათელი წარმოდგენა გმირის ხასიათზე მკითხველს წინასწარ შიშის ქვეშ აყენებს იმ მოსალოდნელი კონფლიქტის გამო, რომელიც უნდა დაიწყოს მთელ თემსა და ერთ ადამიანს შორის. რაკი მინდიას ხასიათი სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს თემის ხასიათისას, ამიტომ მათი თანაარსებობა შეუძლებელია, კონფლიქტი კი აუცილებელი. დადგა დრო, როდესაც სიტუაცია კოლიზიად უნდა იქცეს.

ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლა ვაჟას, ანტიკური ოსტატების მსგავსად, შესრულებული აქვს უზრწყინვალესად, და იგი ხდება მთელი თემის თანდასწრებით. კონფლიქტის საჯარო ხასიათი მონუმენტურ სიდიადეს ანიჭებს ვაჟას შემოქმედებას.

„ხატობა ჰქონდათ ხევსურთა,  
ლუდის სმა არის, ღრეობა.  
დიდს მლოცავს მოიპატიჟებს  
გუდანის ჯვარის დღეობა,  
ხალხია დაჯარებული,  
ბჭობენ უფროსნი მრავალსა;  
ზოგნი ამბობენ სხვის ამბავს,  
სხვანი—თავგადასავალსა,  
ამბობენ ვაჟკაცობისას,  
თოფისასა და ხმლისასა.  
ჯაჭვს მჭრელს წელზე ვინ იტყავს,  
ყველა აქებდა იმასა.  
უსმენენ მოწიწებითა,  
თუ ვინ რას იტყვის ცდისასა.  
თანაც გააბეს მსჯელობა  
გველის-მჭამელის ცოდნაზე,  
ხის მჭრელის, ბალახთ მთიბელის,  
მათ ჩანადინარ ცოდვაზე“

ბოლო სტროფიდან სჩანს, რომ თემი უკვე იცნობს მინდიას თვალსაზრისს. კიდევ მეტი, თემის ზოგიერთ წევრს სჯერა მინდიას სიბრძნისა და ცოდვად სთვლის ხეების მოჭრასა და ბალახთ გათიბვას. ეს გარემოება აიძულებს თემის მეთაურს—ჩალხიას, გამოვიდეს საჯაროდ მინდიას ფილოსოფიური მოძღვრების წინააღმდეგ. ამ მოძღვრებაში ჩალხია ხედავს სიღატაკისა და ადამიანის სიცოცხლის აღსასრულს.

„ჩალხია ეტყვის კრებასა:  
იკვირს ეგ იქვენი ფიქრია,  
წიათაც ბევრჯერ გითხარით,  
ეხლაც იმასვე ვიტყვია:  
ესა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,  
ჩვენ რად არ გაგვიგონია?  
ჩვენ სატყუებლად მინდიას  
სიცრუე მოუგონია.  
ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,  
ჩვენ ყურები გვსხავ მგონია?  
მე სამალავად არ ვამბობ,  
თვითოსაც მისდის ყურშია;  
თუ ამას მართალს არ ვამბობ,  
იფიქროს თავის გულშია.  
ვსთქვათ, სიბრალული კარგია  
ხე—ქვა, ბალახთი, ცხოველთი...  
კაცის კვლა ყველასა სჭარბობს,  
თუნდაც მტერ იყოს, ყოველთი.  
მაშ აღარც კაცს უნდა ვკლავდეთ,  
გეტყვით, მისმინეთ, მე რასა —  
მტრისას, ხმლით ხაჭერ, მინახავს  
მინდიას სდგავდეს გორასა.  
რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც  
კვლისას არ გვაძლევს ნებასა,  
**მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა**  
**ჩვენსას დაარღვევს შვებასა,**  
**ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,**  
**ან გვიშლის რჯულის ცნებასა,**  
მაშინ არც ღმერთი გვიცოდებს  
მტრისას მაქცევას ხელისას.  
ეგრევე, ოღონც ვიცხოვროთ,  
მოჭრას წიფლის და თელისას.  
. . . . . . . . . . . .  
მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა,  
როგორღა გვეცხოვრებისა?“

თემის მეთაურის სიტყვა სასტიკი, მაგრამ სამართლიანი მსჯავრია მინდიას მოძღვრების წინააღმდეგ. ჩალხია ადამიანის არსებობას იცავს და მზად არის თვით ღმერთსაც კი შეებრძოლოს, თუ კი იგი ადამიანში ჩაჰკლავს მოდგმის გაგრძელების უნარს. ჩალხიას პირით თვით ცხოვრება მეტყველებდა თავისი ტკივილებითა და სიხარულით. ვის ჰქონდა მორალური უფლება წინ აღსდგომოდა ადამიანის კაცობრიულ მოთხოვნილებას და ჩაეხშო მასში ცხოვრებისადმი სიყვარული. ჩალხია მინდიას პაექრობაში იწვევს; მაგრამ მინდია სდუმს და სტირის, არა შიშისა და სასჯელის გამო, არამედ ჩიტის ბედს დასტირის. ამოხსნებული თემი კი მინდიას ცრუ სიბრძნეში სდებს ბრალს და ერთხმად იზიარებს ჩალხიას მსჯავრს.

„ის რად ვიცოდოთ უფლისგან,  
რაიც არ გვეცოდებისა.  
თემთ, რო გვარიგებს მაგაზე,  
ძალიან ცუდათ შვრებისა.  
კარგთაგან იმედი გვაქვის  
მუდამ შველის და რგებისა,  
და არა ჩვენი დაღუპვის,  
ჩვენი ცხოვრების ვნებისა.  
ეს იყო გამონაკლისი  
აზრი ხევსურთა კრებისა“.

რატომ სდუმს მინდია? ნუ თუ მან დამარცხებულად ჩასთვალა თავი!? არა. როცა თემის ყრილობაზე ირჩევა კითხვა: გააგრძელოს ადამიანის მოდგმამ თავისი არსებობა, თუ მინდიას მოძღვრების მიხედვით შესწყვიტოს იგი და უსულო ბუნებას შეუერთოს თავისი არსებობა, მაშინ თვალცრემლიანი მინდია შეჰყურებდა იქვე ხის ტოტზე მჯდარ ჩიტებს და მათ ნაღვლიან საუბარს ისმენდა. ეს საუბარი ადამიანურ ენაზე მინდიამ შემდეგნაირად გადაუთარგმნა ხევსურებს: მარჯვნივ მჯდომარე ჩიტი ამბავის მთხრობელია, ხოლო მარცხნივ დედაა შვილებისა. ამბავის მთხრობელი ჩიტი უამბობს დედას, თუ როგორ დაიღუპნენ მისი შვილები. ამ მწუხარებას ვერ გაუძლებს დედა და თავს იკლავს.

და განა ეს ფაქტი ოდნავ მაინც უარყოფს თემის მეთაურის ბრალდებას მინდიას მიმართ? პირიქით. ჩიტების ამბავი რადიკალურად ეწინააღმდეგება მინდიას სიბრძნეს. თუ კი პატარა ფრინველი შვილებისადმი სიყვარულმა აიძულა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე, რატომ ამგვარივე სიყვარულით არ არის დაკავშირებული მინდია თავის საკუთარ შვილებთან?! რატომ სიკვდილით ემუქრება გამეცნიერებული მინდია შვილებს, რომლებიც მამისაგან მზრუნველობასა და გარჯას მოითხოვენ! მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახზე ზრუნვა მინდიას გველისაგან მიღებულ სიბრძნეს აკარგვინებს.

ქვეტექსტის საშუალებით ვაჟა გვაუწყებს, რომ მინდია ჩიტების ბედს კი არ დასტიროდა, არამედ საკუთარ უბედურებას. პირველად აქ შეეპარა ეჭვი მინდიას თავის სიბრძნეში. შეეჭვება საკმარისი იყო, რომ გველისაგან მიღებულ სიბრძნეს დაეკარგოდა თავისი გრძნეული ძალა. უსულო ბუნების ენა მინდიას აღარ ესმოდა; იგი დაყრუვდა.

(დასასრული იქნება)



ძველი თბილისი. ნახ. დ. კაკაბაძისა.



ქალიშვილის პორტრეტი. ნახ. ქ. სანაძისა.

პროფ. დ. არაყიშვილი

# ია კარგარეთელი

იმ ადამიანთა შორის, რომელნიც წარსულში დაუღალავად მუშაობდნენ ქართული კულტურის განვითარებისა და აღორძინებისათვის, ჩვენ მუდამ წრფელი სიყვარულით ვიხსენებთ ია კარგარეთელის სახელს. ქართული მუსიკის ისტორიაში მან ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ი. კარგარეთელი დაიბადა 1865 წ. სოფ. ერთაწმინდაში, (ქართლი). პირველდაწყებითი განათლება მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში. ყმაწვილობის დროს, როგორც კარგი და სასიამოვნო ხმის მქონე, სასწავლებლის საეკლესიო გუნდში გალობდა. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისში იწყებს ცხოვრებას.

ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მან მონაწილეობა მიიღო ლადო აღნიაშვილის მომღერალთა გუნდში, ხსენებულ გუნდთან ერთად იგი მოგზაურობდა საქართველოში და კონცერტებს მართავდა. მაგრამ ამ მუშაობამ იგი არ დააკმაყოფილა. მუსიკალური განათლების მიღების წყურვილით აღსავსე იგი 1889 წელს მოსკოვს მიემგზავრება, სადაც შედის ფილარმონიაში. აქ მან ექვსი წელიწადი დაჰყო.

ფილარმონიაში ყოფნის პირველ ხანებშივე, სახელდობრ 1893 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ბუნების მეტყველების, ანტროპოლოგიის და ეთნოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე მან წაიკითხა პირველი მოხსენება ქართული სიმღერის შესახებ. ამ მოხსენებამ მოსკოვის ინტელიგენციის გარკვეული ფენები მეტად დააინტერესა ჩვენი ქვეყნით, ჩვენი ხალხის მუსიკალური შემოქმედებით. ეს დაინტერესება უფრო გაცხოველდა [illegible]

[illegible] ინტერესებულ პირთა წრე, რომლის მიზანი იყო ქართულ ენაზე ოპერების დადგმა. ამ მიზნით გადაითარგმნა ოპერები: „სევილიელი დალაქი" და „დემონი", პირველი დაიდგა 1905 წლის მაისში, ხოლო მეორე — 1906 წლის იანვარში. ამ სპექტაკლებში თვით კარგარეთელი ღებულობდა მონაწილეობას და ასრულებდა გრაფ ალმავივას როლს „სეველიელ დალაქში" და თავადის როლს „დემონში".

ია კარგარეთელის ამ მუშაობამ უეჭველი სარგებლობა მოიტანა იმით, რომ იმ დროის ქართველი საზოგადოება საბოლოოდ და ურყევად დაარწმუნა, რომ ევროპიული ოპერა ქართულ ენაზე სანაქებოდ აჟღერდება და შესრულდება. მე ვფიქრობ, რომ მომავალი ისტორიკოსი ქართულის მუსიკისა აღნიშნავს ამ მოვლენას და ღირსეულად დააფასებს.

ი. კარგარეთელი იმავე დროს მუშაობდა პუბლიცისტიკის სფეროში. სწერდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. არ მოიპოვება ჩვენი მუსიკის ცხოვრებაში არც ერთი საინტერესო მოვლენა, რომელსაც ი. კარგარეთელი არ გამოხმაურებოდა. შეიძლება ხანდახან იგი სცდებოდა ამა თუ იმ მოღვაწის დაფასებაში, მაგრამ დარწმუნებით უნდა ითქვას, ის მუდამ გულწრფელი და პატიოსანი იყო. 1908 წელს მან მიიღო ნება სამუსიკო გაზეთის გამოცემისა, სამწუხაროთ ეს განზრახვა არ განხორციელდა.

1907-1908 წლებში ი. კარგარეთელმა დროებით შესწყვიტა მუშაობა იმის გამო, რომ ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ და სრულიად დაუშავეს [illegible]

## ელისაბედ ჩერქეზიშვილი [illegible]

[illegible]

გრიგოლ აბაშიძე

# ვინ დიდი და ვინ პატარა

## (ნაწყვეტი ახალი საბავშვო პოემიდან)

მიწამ იწყო ზანზარი,
დაილეწა ხეხილი,
გამოვიდა დევკაცი
ულვაშგადაგრეხილი.

არც ცხენს მოაჭენებდა,
არც მოჰქროდა მანქანით,
თვალუწვდენელ მინდორზე
მოდიოდა ქაქანით.

იფიქრებდი: ქვეყანა
დაიქცევა, ეგ არი!
ჭიანჭველა მორბოდა,
გრძელ ფეხებზე შემდგარი.

არც ურემი მოჰყავდა,
არც გაბმული გუთანი,
დევკაცს ზურგზე ეკიდა
დაბამბული კურტანი.

მოდიოდა უქუდოდ,
უტომროდ და უგუდოდ,
ჭრელ კურტანზე გაედო
პაწაწინა მუხუდო.

პაწაწინა რად იყო,
ძლივს სწვდებოდა ბაწარი,
წელში სწყვეტდა ბუმბერაზს
ტვირთი უზარმაზარი.

მაინც არ ეტყობოდა
დაქანცვა და მოწყენა,
ტვირთი ლაღად მოჰქონდა,
სამი სახლის ოდენა.

მინდვრის ჭიანჭველები,
მისებრ კურტანჭრელები
შეხვდებოდნენ, გარბოდნენ
შიშით აქეთ-იქითა,

„ტომრით ფეტვი ძლივს მიგვაქვს,
ზოგჯერ ღვინოც ტიკითა,
მან ამხელა მუხუდო
როგორ წამოიკიდა!"

შეხვდებოდნენ პეპლები
გულხელ დაუკრეფლები,
ჩასძახებდნენ ფარფატით:
„—ჭირის ოფლით დამბალო,

ეგ სიმძიმე სად მიგაქვს,
ან სად უნდა დამალო?
ეგ რომ ზურგზე აგვკიდონ,
გაქრა ჩვენი მოლხენა.
ხედავთ? მიაქვს მუხუდო,
სამი სახლის ოდენა!"

„—ხედავთ, მიაქვს მუხუდო,
უტომროდ და უგუდოდ!..."
ირგვლივ ათასფერები
გაჰკიოდნენ მწერები.

ყურს არ უგდებს არავის
ჭიანჭველა მკვეხარა,
მინდვრის თავში შეჩერდა,
ერთგან თხილი ეყარა.

სადღა უნდა ეპოვნა
უკეთესი ადგილი!
შეძვრა თხილის ნაჭუჭში,
გახსნა ჭრელი მანდილი,
დაჯდა პურის საჭმელად,
მოშივნოდა სადილი.

პაწაწინა ნაჭუჭში
უტომროდ და უგუდოდ,
თითქმის აღარც მოსჩანდა,
ჭიანჭველას მუხუდო!

უკვირს დევკაცს: ნაჭუჭი
რა ყოფილა ამხელა!
კოდო იჯდა კუთხეში,
ცალთვალა და ცალხელა,
ერთიც ვერ გააგონა,
თუმცა ბევრი ახველა!

დაჯდა პურის საჭმელად,
თავი როგორც დალუნა,
ხმა მოესმა, ვიღაცამ
ახლოს გაიბრაგუნა.
თხილის ხვავთან უეცრად
გაჩნდა ერთი თაგუნა.

უწვერო და უკუდო,
ამოვიდა ორმოდან,
ტანად იყო პატარა,
მაგრამ სწრაფად მორბოდა.
ალბათ საჭმელს ეძებდა,
ირგვლივ თვალს აცეცებდა.

სხვა რა უნდა ეძებნა?
თხილს ეძებენ თაგვები,
ნახა, ხვავად ეყარა
მთელი ზამთრის საკვები.

გაიხარა, აცეტდა,
დაფაცურდა ნამცეცა,
ამოიღო ტომარა,
დაკეცილი სამკეცად.

სხვა თაგვები არ იხმო,
არ ჰკრა ბუკს და ნაღარას,
ტომარაში მარტოკამ
თხილი ჩუმად ჩაჰყარა.

მაგრამ ყველა მოჩქარეს
მუდამ ასე სჩვევია,
ნაჭუჭები თხილისგან
არც კი გაურჩევია.

და ის თხილის ნაჭუჭიც
მიაყოლა ადვილად,
შიგ რომ იჯდა დაღლილი
ჭიანჭველა სადილად,

ზურგზე სწრაფად შეიგდო
სხვისი თხილი ტომრითა,
და შინისკენ გაქანდა,
სულ ცეკვით და ხტომითა.

მირბის, მიხტის თაგუნა,
უწვერო და უკუდო,
რა იცის რომ ნაჭუჭში
დევკაცი ზის უქუდო,
რა იცის რომ იმ დევკაცს
უტომროდ და უკუდოდ
ჭრელ კურტანზე ჰკიდია
სახლის ტოლა მუხუდო!

ჰკიდია და ჰკიდია,
თითქო არც კი ჰკიდია,
თუმცა სავსე ტომარა
თავზე სამჯერ დიდია,
მაინც ასე იძახის:
„აბა, ეს რა ტვირთია!"



„ვეფხის ტყაოსნის" ილუსტრაციებიდან.
ნახ. ს. ქობულაძისა.

დავით შამათავა

# საფრონტო ლირიკა*)

პოეტის შემოქმედების ცხოველმყოფელობისათვის ერთ-ერთი უკეთესი, ახ, თუნდაც, ბედნიერი პირობაა მდიდარი, მრავალფეროვანი ბიოგრაფია. შემოქმედთა შორის პოეტ ლირიკოსი ყველაზე მეტად ეყრდნობა განცდილს, პირადულს; შემდეგ იგი ახდენს ამ განცდილის პოეტური სიტყვით ობიექტივირებას. ამ მხრივ რევაზ მარგიანის ბიოგრაფია მნიშვნელოვნად გაამდიდრა ფრონტზე ყოფნის დღეებმა. პოეტმა ნახა ომის ქარცეცხლი. რ. მარგიანის ლექსების ახალი წიგნი — ფრონტის შთაბეჭდილებათა წრფელი ლირიული გადმოცემაა. აქ არის მგზნებარე სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, ზრუნვა და ოცნება საყვარელ ადამიანებზე, განუყრელი ფიქრი ქვეყნის მომავალზე და სხვ. დამახასიათებელია ამ მხრივ ლექსი „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს". იგი ყურადღებას იპყრობს ლირიული სიწრფელით და უშუალობით: თოვლიან ღამით პოეტს გადასცეს ბარათი,—ბევრის მეტყველი პატარა ქაღალდი. როგორც საუნჯეს, ისე დაატარებს მებრძოლი მას. ცხრა მთას იქით, შორეულ ფრონტზე მყოფ პოეტს — კარგად ვარო, — სწერს გულის ტოლი. მაგრამ ბარათს სულ სხვა ემჩნევა. იგი ცრემლს დაულაქავს. პოეტი სჩივის:

„არა ხარ მართალი! ბავშვურმა ცრემლებმა
ხომ გაგთქვეს, რას იტყვი ახლა?
ცრემლების წვეთები აქა-იქ ემჩნევა
საჩემოდ დაწერილ ქაღალდს".

და პოეტი ამხნევებს მეგობარ ქალს:

„ნუ სწუხარ, გაივლის ომი და ქარი,
ვიცხოვრებთ ისევ მშვიდად.
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის,
დიადი სამშობლო წმინდა!"

სანამ ომია და ქარიშხალი მძვინვარებს, მებრძოლი უბით ატარებს პატარა ბარათს, დიდი გრძნობისა და სიყვარულის მაუწყებელს:

„მოსვლამდე, ვინ იცის... უბეში მექნება
და ხშირად დავხედავ ხვნეშით:
„საველე ფოსტა, 72
მარგიანს საკუთარ ხელში".

ლექსში „თოვს" პოეტი ასახავს სანგარში მყოფ მებრძოლის განცდას. აქ დახატულია ფრონტის პეიზაჟი ზამთარში. თოვლისაგან თეთრად ბიბინებს ველი, ცვივა თოვლი სანგრებშიაც; გარეთ კი იისფერ სვეტებად აღმართულა პროჟექტორების მსუბუქი ბოლი. მებრძოლს უნებლიედ მოაგონდება შორს დარჩენილი მშობლიური კერა, მისი სიმშვიდე, რომელსაც აქ ფრონტზე იცავს; შემდეგ ვკითხულობთ:

„და ახლა, ალბათ, რუსთველზეც ათოვს
და ჩვენს აივანს ეყრება თოვლი,
შუა ოთახში სამნი ხართ მარტო —
დგას სურნელება ჩაიდნის ბოლის"...

ეს მოტივი — ფრონტზე გახსენება საყვარელი ადამიანების, მყუდრო კერის ეს ტკბილი მოგონებანი, რომელნიც მებრძოლში აღვიძებენ სამშობლოსათვის ბრძოლის უფრო ძლიერ წყურვილს — ლეიტმოტივად გასდევს მარგიანის ლექსებს. ლექსში „სანგარში" პოეტი სწერს:

„ოცნებით ტკბილად მივლულავ თვალებს,
ჩემს თავზე ლურჯი ცა დამხობილა.
ტკბილი ყოფილა სამშობლო მხარე
და გახსენებაც ტკბილი ყოფილა".

განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს პოეტი სამშობლოს დამცველთა სახეებს. მის ლექსებში სჩანს პორტრეტები სახელოვანი ვაჟკაცებისა, რომელთა ღვაწლი აღაფრთოვანებს დიდსა თუ პატარას. ლექსში „ამხანაგი ჩანჩიბაძე" პოეტი სწერს:

„მან შეიყვარა ულამაზესი
ჩვენი მთები და მთაგრეხილები,
ჩვენი გზები და ჩვენი ვაზები,
კრიმანჭულივით დაგრეხილები".

გმირი ფრონტზეა, იგი [illegible] უდრეკი, რადგან [illegible] სიმართლეს, მზეს და ბედნიერებას. ამ გრძნობას გამოხატავს [illegible]:

„იგი კვლავ ბრძოლის ველზე წასულა,
ვაჟკაცს მტრის ტყვია ვერ მოერევა,
ის არ დაღლილა და ვაჟკაცურად
მკერდით კვლავ იცავს ბედნიერებას".

აღსანიშნავია მარგიანის ბალადა „კომისარი გიორგაძე". იგი ეხება ვაჟკაცს, რომელიც მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა. ეს ბალადა 1942 წლის მრისხანე გაზაფხულზე ყირიმში წარმოებულ სწორუპოვარ გმირულ ბრძოლების დროს თან ჰქონდათ ფრონტზე მებრძოლებს საველე ჩანთაში, როგორც საბუთი მტრისადმი სასტიკი შურისძიებისა.

ომის პერიოდში რ. მარგიანმა შექმნა მრავალი კარგი ლექსი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია", „ზამთარი", „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს", „იმერელი ბიჭი ვიყავ" და სხვ.

რ. მარგიანი ქართულ ლექსში შეეცადა დაემკვიდრებია მთის — სვანეთის პეიზაჟი. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი კარგი ლექსებისა: „სვანური ნანა", „მირანგულა", „სვანები ძველ იმერეთში", „ბალადა რუსთაველის სვანეთში მისვლისა" და სხვ. ახლა, უკანასკნელ ხანებში, იშვიათად-ღა ეხება პოეტი ხსენებულ გარემოს თავის ლირიკულ ლექსებში. ჩვენ არ მოვითხოვთ ამ მხრივ წავიდეს პოეტის შემოქმედების ძირითადი ხაზი, მაგრამ სასურველია ეს თემაც არ დარჩეს მისი მხედველობის გარეშე. ჩვენ გვახსოვს, რომ ამ მხრივ — სვანეთის პეიზაჟების ხატვისას — იგი ფრიად ორიგინალური და საინტერესო იყო.

რ. მარგიანს აუცილებლად აქვს თავისებური პოეტური გააზრება, ახალი, ცოცხალი სახეები; ეს მთავარი პირობაა პოეტისათვის, რომელიც საკუთარ ხმას იმკვიდრებს. ჩვენ გვინდა ერთი მაგალითი მოვიყვანოთ მისი ძველი ლექსიდან „აზერბაიჯანი". პოეტი ამ ლექსში სწერდა:

„შენ მომიტანე ჩაი ღიმილით,
თქვენებურ ეშხით და მოკრძალებით,
ზღაპარში თქმული უცხო ხილივით
ფინჯანში ჩარჩა შენი თვალები".

ეს ცოცხალი და საინტერესო სახე ტიპიურია მარგიანის პოეზიისათვის.

რ. მარგიანს აქვს პოეტური თვალი, გულწრფელობა, სისადავე. მისი ლექსი, თუ ზოგჯერ ნაზი და მგრძნობიარეა, ზოგჯერ, პირიქით, მრისხანედ მეტყველებს. შურისძიების ცეცხლით იყო აღსავსე ის ლექსები, რომლებშიც პოეტი ეხებოდა და ჰგმობდა შემოსეული მტრის ბარბაროსობას. იგი სწერდა:

„მათ ტყვია უნდათ, ერისკაცებო!
პირისპირ ვდგევართ ჩვენ და ისინი,
დავარტყათ მაგრად და საგანგებოდ,
რომ ჩავკლათ მათი გველის სისინი".

ეს იყო ცხარე ბრძოლების დღეებში. ახლა, როცა კრემლმა მსოფლიოს აუწყა საბოლოო გამარჯვება ვერაგ მტერზე, დადგა ნამდვილი ჭეშმარიტი გაზაფხული და ჩვენ გვჯერა, ქართული პოეზია კიდევ უფრო აამაღლებს ქართულ ლექსის მაღალ კულტურას. ახალი თაობის პოეტებში რევაზ მარგიანი კიდევ მეტად გააძლიერებს თავის პოეტურ ინდივიდუალობას, როგორც ნიჭიერი საბჭოთა პოეტი.

*) რ. მარგიანი — „ახალი ლექსები", „საბჭოთა მწერალი". 1945 წ.

## ჟურნალ „მნათობის" განხილვა

30 ივნისს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც მწერალთა აქტივი დაესწრო, განხილულ იქნა ჟურნალ „მნათობის" ამა წლის 4-5 ნომერი. სხდომა გახსნა ამხ. გ. ჯიბლაძემ, რომელმაც მოუწოდა მწერლებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჟურნალის განხილვაში, მთელი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით შეაფასონ მასში მოთავსებული ყოველი ნაწარმოები.

„მნათობის" ზემოდაღნიშნული ნომრის და საერთოდ „მნათობის" რედაქციის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. დიმიტრი ბენაშვილი, მან მოკლედ განმარტა რა ამ ერთად-ერთი ქართული მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალის დანიშნულება,—გაარჩია თანმიმდევრობით მასში წარმოდგენილი პოეტური და პროზაული პროდუქცია, აგრეთვე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები. მომხსენებლის აზრით ჟურნალში წარმოდგენილი ლექსების მეტი ნაწილი არა აქტუალურია. შემდეგ მომხსენებელმა, განიხილა რა ჟურნალის პროზის და კრიტიკის განყოფილება, განაცხადა: საერთოდ ჟურნალის რედაქცია ვერ იჩენს საკმაო ოპერატიულობას, აგრეთვე მისწრაფებას კოლეგიალურ მუშაობისადმი, რაც თავის უარყოფით გავლენას ახდენს ჟურნალის შინაარსზე.

ჟურნალ „მნათობის" გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ს. თავაძემ, კ. გამსახურდიამ, ბ. ჟღენტმა, შ. რადიანმა, კ. ბობოხიძემ, კ. ჭიჭინაძემ, ს. კლდიაშვილმა, ს. ჭილაიამ. შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი ა. მამაშვილი. კამათი დამთავრდა ამხ. გ. ჯიბლაძის დასკვნითი სიტყვით.

ლევან ასათიანი

# აკ. ბელიაშვილი

სამამულო ომის წლების მანძილზე ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა აკაკი ბელიაშვილი. ფართო მკითხველის ყურადღება სავსებით მართებულად მიიპყრო ჩვენი მწერლის დიდი ისტორიული რომანის „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავლის" პირველმა ნაწილმა. უდავოდ მაღალი მხატვრული ღირსებები ახასიათებს ამ ნაწარმოებს. კომპოზიციურად მწყობრი და საინტერესო სუჟეტი, მიმზიდველი და თავისუფალი თხრობა, მკვეთრად მოხაზული ხასიათები და, რაც მთავარია, სწორი იდეურ-პოლიტიკური გააზრება ისტორიული მოვლენებისა—ხდიან ამ ნაწარმოებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის საგანძურში.

აკ. ბელიაშვილის ინტენსიური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს აგრეთვე დიდი მოთხრობა კავკასიის დაცვის თემაზე „ქარიშხალი" და მრავალი წვრილი პროზაული ნაწარმოები, რომელთა ნაწილიც შევიდა ავტორის ორ კრებულში: „პატარა ნოველები" (1942 წ.) და „ქორწილი სოფელში" (1944 წ.).

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება სწორედ ამ ორ კრებულზე შევაჩეროთ.

* * *

აკ. ბელიაშვილმა, როგორც მწერალმა პოპულარობა და მკითხველის ინტერესი სწორედ პატარა ნოველებით და მოთხრობებით მოიპოვა. ის მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებების ოსტატია. როდესაც ჰკითხულობთ აკ. ბელიაშვილის ნაწერებს, უპირველეს ყოვლისა, თვალში გეცემათ თემატიური მრავალფეროვნება და პერსონაჟების სიმრავლე ამ ნაწერებში. მწერალი კარგად იცნობს ჩვენს ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანების ფსიქოლოგიას, მათ იდეურ-ზნეობრივ სამყაროს, მისწრაფებას, სულისკვეთებას.

ვის არ შეხვდებით აკ. ბელიაშვილის მოთხრობებში, რა წრისა და პროფესიის ადამიანს არ ნახავთ მის ნაწერებში? სოფელი და ქალაქი, ფრონტის მოწინავე ხაზი და ღრმა ზურგის ჰოსპიტალი, ქვანახშირის მაღარო და მატარებლის ვაგონი, დახურული სასადილო და მწვანითმოსილი მდელო,—ყველგან, ცხოვრების ყველა კუნჭულში, ჰპოულობს მწერალი თემას თავისი მოთხრობებისათვის, საინტერესო ადამიანებს — პროტოტიპებს თავისი გმირებისათვის,—მათი დადებითი და უარყოფითი თვისებით, ნაკლითა და ღირსებით. ტიპების გალერეა აკ. ბელიაშვილის მოთხრობებში ფართო და რიცხვმრავალია. აქ არიან სტახანოველი მუშები და კომკავშირელი გოგონები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და მრანგარიძეები, ინჟინრები და ექიმები, წითელარმიელები და ოფიცრები, ომის ინვალიდები და სანიტრები, კეკლუცი არშიყი ქალები და მოხუცი დედაკაცები, ცხოვრებაში გამოუცდელი ჭაბუკები და ჭირგადახდილი ბერიკაცები.

აკ. ბელიაშვილი უტყუარი ალღოთი აგნებს აქტუალურ თემატიკას. მის ორ კრებულში მოთხრობების უმეტესი ნაწილი თავისი შინაარსით სამამულო ომის დღეებს ეხება. იქ ჩვენი დღევანდელი ცხოვრებაა ასახული, ფრონტისა და ზურგის ადამიანები არიან მოქმედ გმირებად გამოყვანილნი. ერთ მოთხრობაში („უმცროსი") ავტორი სიყვარულით გვიამბობს ახალგაზრდა ვალიკო ქურციკიძის ამბავს, რომელსაც მისი ნორჩი ასაკის გამო, სამხედრო კომისარმა უარი უთხრა ჯარში მოხალისედ მიღებაზე. ვალიკო შეურაცყოფილია, გულდაწყვეტილი. მას სურს უფროსი ძმის გოგიას მსგავსად, ფრონტზე წავიდეს საბრძოლველად, სურს გმირობა ჩაიდინოს, რომ მისი ვაჟკაცობის ამბავი რადიომ მთელ ქვეყანას მოჰფინოს, მაგრამ ამის საშუალება, მას არ ეძლევა. ის იძულებულია მაღაროში დაიწყოს მუშაობა. ის სტახანოველი ხდება. გადის რამდენიმე ხანი და რადიოში, ფრონტზე სახელმოხვეჭილ გმირებთან ერთად, ხოტბით ცხადდება ვალიკო ქურციკიძის სახელიც, რომელმაც თავდადებული და გმირული შრომით საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, როგორც სამშობლოს ერთგულმა შვილმა და ნამდვილმა პატრიოტმა. თურმე ზურგშიც შეიძლება საგმირო საქმის ჩადენა, ქვეყნისათვის სარგებლობის მოტანა. ამ ჭეშმარიტების შეგნება გულწრფელი სიხარულით აღავსებს ჭაბუკის გულს.

ახალგაზრდა მებრძოლი მიტო, ფრონტზე ყოფნის დროს, მუდამ სიამით იგონებს თავის შეყვარებულ თამარს („ორი თამარი"). ეს გრძნობა უადვილებს მას ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც მას ფრონტზე ხვდება. სანგარში წოლის დროს, თუ დაზვერვაზე წასვლისას, მას არასოდეს არ ავიწყდებოდა შავთვალა თამარი, რომელიც დასტოვა სოფელში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მიტო მძიმედ იჭრება. მას პირველ დახმარებას გაუწევს ქერათმიანი რუსის გოგონა, ახალგაზრდა სანიტარი ქალი. აღმოჩნდება, რომ მასაც თამარი ჰქვია სახელად. მიტოს სამუდამო სახსოვრად ჩარჩება გულში ამ თავდადებული გოგონას სახე. უკვე მორჩენილი, ის დროებით ბრუნდება მშობლიურ სოფელში. მშობლიური ჭერის სითბო და სიამე ძალამოდ ედება ძის გულს. მაგრამ ძველი გრძნობა თითქოს მიფერფლილია: შავთვალა თამარის ხსოვნა დაჩრდილა ქერათმიანი თამარის ნათელმა სახემ და ეს, თითქოს, ბუნებრივიც არის: რა უზომო განსხვავებაა ამ ორ ახალგაზრდა ქალს შორის! ქერათმიანი რუსის გოგონა, მიტოს თვალში, განსახიერებაა თავგანწირვის, სათნოების, გმირობისა. რასაკვირველია, მას ვერ შეედრება სოფელში დარჩენილი შავთვალა ქალი, რა გარეგნული ღირსებითაც არ უნდა იყოს ის შემკული. მიტოს შეძეცნებაში ფრონტზე შეხვედრილი თამარის სახე მაღალი ზნეობისა და მოვალეობის შეგნების ნათელი შარავანდედით არის მოსილი.

მაგრამ მიტო მოულოდნელად გაიგებს, რომ შავთვალა თამარი სოფელში აღარ იმყოფება: მიტოს ჯარში წასვლის შემდეგ მასაც გადაუწყვეტია ფრონტზე გამგზავრება მედიცინის დად და კიდეც შეუსრულებია თავისი განზრახვა.

ჯარისკაცი განცვიფრებულია. მის არსებას შესძრავს სასიხარულო შეგნება იმისა, რომ მისი შავთვალა თამარიც განსახიერება ყოფილა იდეალისა,—ჰარმონიული შეერთება ფიზიკური და ზნეობრივი მშვენებისა; სადღაც, ფრონტზე, ბრძოლის ქარცეცხლში, ალბათ, ისიც მხსნელ ანგელოზად ევლინება დაჭრილ უმწეო მებრძოლს, ისე, როგორც მიტოს მოევლინა მისთვის უცნობი რუსი გოგონა. მას ეუფლება საამო გრძნობათა სავსეობა: „მიტომ უცბად ყავარჯენი მოიმარჯვა, ადგა და მეორე ოთახში გავიდა. კარები მოხურა და მიმოიხედა; როდესაც დარწმუნდა, რომ სულ მარტო იყო ოთახში, კედლიდან თამარის სურათი მოხსნა, ფრთხილად აკოცა და მოულოდნელად იგრძნო, რომ თვალებზე ორი ცრემლი დაეკიდა".

აკ. ბელიაშვილის მოთხრობებში განსაკუთრებით გამოირჩევა „ქორწილი სოფელში". რამდენი სითბო და ფაქიზი ადამიანური გრძნობაა გამოხატული იმ შეხვედრაში, რომელსაც უწყობენ მშობლები და მეზობლები ბრძოლიდან დაბრუნებულს ცალხელდაკარგულ სოლიკოს. დიდის ტაქტით და ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით აგვიწერს მწერალი დაჭრილი ჯარისკაცის მოსვლას მშობლიურ კუთხეში, მის მტკივნეულ განცდებს, შეხვედრას ბედნიერ დედასთან და აგრეთვე გულის სატრფოსთან, რომელიც თავისი გრძნობების ბოლომდე ერთგული რჩება. განცდის უშუალობა, მომხიბლავი სისპეტაკე და ზნეობრივი სიჯანსაღე ახასიათებს ამ უბრალო, პრიმიტიული ბუნების ადამიანებს. აკ. ბელიაშვილი შესანიშნავად იცნობს იმერეთის სოფელს და გვიხატავს მას მკვეთრი, ნათელი ფერადებით. „ქორწილი სოფელში" ერთი საუკეთესო მოთხრობათაგანია აკ. ბელიაშვილისა. დაახლოვებით ანალოგიურ თემას,—ომში დაჭრილი, დიდიხნის უნახავ შვილის შეხვედრას მშობლებთან, —უბრუნდება მწერალი მეორე მოთხრობაში „იმერლები ზღვასთან". ეს საუცხოვო ნაწარმოები თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია უღრმესი ლირიზმით და სათუთი განცდით.

მოხუცი დედ-მამა სანახავად ესტუმრა ჰოსპიტალში მყოფ დაჭრილ ჯარისკაცს. იმერეთის სოფლიდან მათ მოაქვთ ძღვენი. შვილთან ერთად ისინი უმასპინძლდებიან მის ამხანაგებს და მომვლელებს. ამ ხანმოკლე შეხვედრის დროს ისინი ეცნობიან უკრაინელ წითელარმიელს, შვილის მეგობარს, რომელიც გაწერილია ჰოსპიტლიდან; ინვალიდად ქცეულს, მას ფრონტზე აღარ შეუძლია დაბრუნება, მაგრამ ვერც მშობლიურ უკრაინაში წავა: ის დაკავებული აქვთ გერმანელ ოკუპანტებს. მოხუცები გადასწყვეტენ მის წაყვანას თავისთან სოფელში. დაჭრილი შვილი რჩება სამკურნალოდ, მისი თანამებრძოლი მეგობარი მიჰყვება მის მშობლებს, როგორც შვილობილი.

სიყვარულის თემას დიდი ადგილი უკავია აკ. ბელიაშვილის მოთხრობებში. ეს მოტივი ან მთავარია, ან პარალელურად მისდევს სუჟეტის მთავარ ხაზს. მაგრამ ყველგან ეს გრძნობა აკ. ბელიაშვილს მოცემული აქვს, როგორც მაღალ-ზნეობრივი, ამამაღლებელი ფენომენი ადამიანის სულიერ სამყაროში. ის ხშირად დაპირისპირებულია მოვალეობისა და მორალის შეგნებასთან და ადგილს უთმობს მას, როგორც, მაგალითად მოთხრობაში „სიყვარულის სამკუთხედი", ან კიდევ გვეხატება, როგორც უბიწო განცდა, რომელიც გარეგნულ მანკიერებას არაფრად აგდებს ადამიანის სულის უმანკოებისა და შეუბღალობის პირობებში („ქორწილი სოფელში"). სპეტაკი მორალის იდეა უდევს საფუძვლად აკ. ბელიაშვილის იუმორისტულ მოთხრობებს. „ღირსეულ სასჯელში" ბიწიერი ავხორცობა პოულობს თავის დამსახურებულ საზღაურს, — ისევე, როგორც მოთხრობაში „დაბრუნება", სადაც პატარა ბავშვი მგზნებარე სიყვარულით მხარს უჭერს ოჯახის ერთგულ მამას და გულცივობით უპასუხებს ოჯახის დამნგრეველ ქარაფშუტა და ავხორც დედას.

უმწიკვლო სიყვარულით გამთბარი და გაკეთილშობილებული ლტოლვა ვაჟისა და ქალისა ურთიერთისადმი შინაგან ლირიკულ მღელვარებას და სითბოს აძლევს აკ. ბელიაშვილის მოთხრობებს. მაგრამ ცხოვრებამ იცის საოცარი შეუსაბამობანი: ხშირად ნამდვილი გრძნობით გამსჭვალული ადამიანები უბრალო შემთხვევის წყალობით ვერ პოულობენ ერთმანეთს და სამუდამოდ გათიშულნი მიდიან ცხოვრების სხვადასხვა ბილიკზე. სევდიანი შეგნება ამ შეუსაბამობისა დრამატიული ელფერით მოსავს აკ. ბელიაშვილის იუმორისტულ მოთხრობას „რუსუდანი".

აკ. ბელიაშვილმა მთელ რიგ მოთხრობებში დაგვიხატა გერმანელ ფაშისტთა მხეცური ბუნება. ვერაგი მტრის უმაგალითო სისასტიკე, ბარბაროსობა საუცხოვოდ არის მოცემული მოთხრობებში, „მორიელები", „რეზერვისტი", „ჩიტუნები".

მთელი რიგი სახეები აკ. ბელიაშვილის მიერ დახატულ გალერეიდან, რჩებიან მკითხველის ხსოვნაში. მაგალითისათვის აიღეთ დედის სახე მოთხრობიდან „ქორწილი სოფელში", ან მისი ანალოგია მოთხრობაში „იმერლები ზღვასთან". რამდენი სითბოა და სინაზე ამ სოფლელი მოხუცი დედაკაცის საერთო სახიერებაში მოცემული. თქვენ თვალწინ გეხატებათ მრავალტანჯული, ოჯახისათვის თავდადებული, ნიადაგ შრომასა და გარჯაში მყოფი, შვილებისათვის დამწვარი დედის სახე. მისი სუსტი სხეული გაკაჟებულია სულის სიმტკიცით და ცხოველმყოფელ გრძნობათა სიჭარბით. მისი სიმხნევე, ალერსიანი სიტყვა-პასუხი, მოყვარული გულის ფეთქვა გიზიდავთ რაღაც ინტიმური ძალით, გაყვარებთ მის სახეს, გავსებთ ბავშვობის საამო და ტკბილ მოგონებით.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა ტიპების გამოც. აკ. ბელიაშვილს კარგად ეხერხება ახალგაზრდა ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახის დახატვა. ეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობაა, ჯანსაღი, ზნეობრივად მტკიცე საფუძველზე აღზრდილი, მაღალი იდეური შეგნებით აღჭურვილი.

აკ. ბელიაშვილი წერს უბრალო, მარტივი ენით. მას არ ახასიათებს ფრაზის ფერადოვნება, ის თითქოს გაურბის საღებავებს, შედარებებს, ეპიტეტებს. გარეგნულ სამკაულებს მოკლებული მისი ტექსტი ხშირად არ გამოირჩევა ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან. მისი სიტყვიერი ქსოვილის ფაქტურა ერთფეროვანი, თანაბარი ტონისაა.

აკ. ბელიაშვილის მთელი ძალა თხრობის დინამიურობაშია. არაფერი ზედმეტი, არავითარი გადახვევა ძირითადი ამბის ღერძიდან, აქ მთელი ყურადღება მიქცეულია სუჟეტის მთავარი მოტივის განვითარებისაკენ. ეპიზოდები სცვლიან ეპიზოდებს, სურათები — სურათებს. ხშირად ეპიზოდი „ბოლომორგვალებული" არ არის, ის თითქოს განგებ არის მოკვეთილი, მაგრამ ისე, რომ მკითხველი თავათ გულისხმობს მოცემულ ეპიზოდში მომხდარ ამბის დაბოლოებას. აკ. ბელიაშვილი სამაგალითო ოსტატია დიალოგის. მისი დიალოგი ეს ბუნებრივი კომპონენტია სუჟეტის, მამოძრავებელი ელემენტი ფაბულის განვითარებისათვის. ამავე დროს აკ. ბელიაშვილის დიალოგში იხსნება მოსაუბრე პერსონაჟების ხასიათი, მის დიალოგში მოსჩანს მოთხრობის გმირის არამარტო შინაბუნება, სულისკვეთება და განწყობილება, არამედ, თითქოს, მის გარეგნობასაც ვხედავთ.

აკ. ბელიაშვილის ზოგიერთ მოთხრობას უბრალო მარტივი ანეკდოტი უდევს საფუძვლად, როგორც, მაგალითად „ქუთათურთა ფანდებს", ან „ღირსეულ სასჯელს", მაგრამ მწერალი ანეკდოტას თემას აფართოებს, აღრმავებს, იძლევა ცოცხალ ხასიათებს, სოციალურ გარემოს. ანეკდოტის თემას იგი სოციალური სატირის დონემდე ამაღლებს. „ქუთათური ფანდები" დაწერილია დავით კლდიაშვილის სიმახვილითა და კომიზმის მძაფრი გრძნობით, აკ. ბელიაშვილის ნოველებს ბევრ შემთხვევაში მოულოდნელი დაბოლოება აქვთ. ამ შემთხვევაში ჩვენი მწერალი ერთი საუკეთესო დამნერგავთაგანია ქართულ პროზაში ამერიკულ ნოველის ტრადიციებისა, რომლის დიდ ოსტატებად ითვლებიან ედგარ პოე, ამბროზ ბირსი, ო. გენრი და სხვ. მოულოდნელი დაბოლოება, როგორც ერთი ხერხთაგანი სუჟეტის გასამძაფრებლად და მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილების დასატოვებლად, აკ. ბელიაშვილს გამოყენებული აქვს უკვე დასახელებულ „ქუთათურთა ფანდებსა" და „ღირსეულ სასჯელში", აგრეთვე მთელ რიგ სხვა ნოველებში („ჩიტუნები", „სიყვარულის სამკუთხედი").

მსუბუქი ჰუმორითა და ნაზი ლირიკული განწყობილებით არიან გამსჭვალულნი აკ. ბელიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებები.

ნათელი ოპტიმიზმი, დაუცხრომელი სიყვარული სიცოცხლისა, აზრითა და გრძნობით გაკეთილშობილებული ადამიანური ცხოვრებისა, მომხიბლავ და ცხოველმყოფელ ძალას ანიჭებენ ამ ნაწარმოებებს.

აკ. ბელიაშვილი სიცოცხლისა და სიხარულის მეხოტბე მწერალია.

ბიბლიოგრაფია

# კალე ბოზოიძე—გამარჯვების სიმღერები

[illegible]

რათა საკუთარი მკერდით დაეცვა საბჭოთა სახელმწიფოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

ომის პირველ დღეებშივე დაწერილ ლექსებში ნათლად სჩანს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ნათელი რწმენა. პოეტი იმედით შეჰყურებდა ჩვენი ქვეყნის მომავალს, მას შეურყევლად სწამდა მუხანათი მტრის ახლო ხანში გარდუვალი და საბოლოო განადგურება; ერთ ლექსში იგი მიმართავდა ჩვენს ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს დიდ სტალინს:

„როდესაც გხედავთ — ვიგონებთ ლენინს
და გულში შენი ფიცი ენთება,
თვალებს სცილდება მწუხარე ბნელი,
შემოგვანათებ, სულში თენდება,
ჩაგრულ ერების შენა ხარ მხსნელი!"

ბრძენ ბელადს იგი უწოდებს ჩვენი ხალხის სრულყოფილ დიდებას, ჩვენს სითბოსა და ჩვენს ალერსს. პოეტს კარგად ესმის ის უდიდესი შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი ძალა, რომლითაც საყვარელი ბელადი აღაგზნებს თვითეულ საბჭოთა მეომარს საგმირო საქმეებისათვის, რომლითაც იგი აღანთებს თვითეულ მშრომელს, თავდადებული, ნაყოფიერი მუშაობისათვის ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ომის დღეებში პოეტი სწერდა:

„გაუმარჯოს დიად მარშალს,
დღეგრძელ იყოს მარადის,
კვლავ უძღოდეს ჩვენს დიდ ლაშქარს
ვერაგ მტრების კარამდის,
კვლავ ისმოდეს ჩვენი ვაშა
ცაში, მთიდან ზარამდის!"

გერმანელ ფაშისტთა ურდოებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს კავკასიონის კარიბჭესთან. კავკასიონთან და ვოლგასთან მტერს ისეთი მაგარი დარტყმა აგემა ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ, რომ მას შემდეგ გერმანელმა მხეცმა ვეღარ შესძლო წელში გამართვა. აქ მოპოვებული უდიდესი სამხედრო სტრატეგიული გამარჯვება საფუძვლად დაედო ჩვენი სახელოვანი ჯარების შეუჩერებელ წინსვლას. კავკასიაში მოპოვებული გამარჯვების ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად მოგვევლინა დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.** მან განახორციელა სტალინის მიერ შემუშავებული გენიალური სტრატეგიული გეგმა და ამით თავიდან ააშორა ფაშისტი ურდოების შემოჭრის საფრთხე მთელ ამიერკავკასიას. პოეტი აღფრთოვანებით მიმართავს ამხანაგ ლ. პ. ბერიას:

„დიადი შრომის გმირი ხარ,
ვაჟკაცი შეუსადარი,
ბელადის გამოზრდილი ხარ,
შრომის და ბრძოლის სარდალი!
დიდ მხედართმთავრის მარჯვენავ,
გზებს გაგვინათებ მარადის,
შენი გმირობის ჰანგები
მთებიდან მთაში გადადის!"

გულთბილი სტრიქონებით გადმოგვცემს პოეტი დიდი სტალინის მტკიცე თანამებრძოლის ალ. წულუკიძის ნათელ სახეს ლექსში „წულუკიძე". მასში მოცემულია იმ ქალაქის წარმტაცი პეიზაჟები და ცხოვრება, რომელიც საშა წულუკიძის სახელს ატარებს.

აღსანიშნავია წიგნში მოთავსებული ლექსები „მაისის ქუთაისი", „ბელადი გვიხმობს" და „ლენინი ჩემს ოთახში". ეს ნაწარმოებნი უშუალო განცდის შემცველნი არიან. ლექსში „გამარჯვებას გილოცავთ" პოეტი სწერს:

„დღეგრძელ იყავ მძლეთამძლევ,
საყვარელო ბელადო!
ძლევის ორდენს გილოცავთ, დიდო
მხედართმთავარო,
ჩვენი ლაშქრის იმედო და სამშობლოს
ჯავარო"...

წიგნში ზოგიერთი მხატვრულად დაუმუშავებელი ლექსიც გვხვდება. მათ ემჩნევა ნაუცბათეობა. ასეთია, მაგალითად, „ვ. გაფრინდაშვილის ხსოვნას", „თავისუფალ ნოვგოროდს", „ქართლის დედა" და „ჩემო თბილისო".

სარეცენზიო წიგნში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა გულწრფელ პოეტურ სტრიქონებს შეიცავს. ეს ლექსები მაღალი პატრიოტული გრძნობით არიან გამთბარი და საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ სულისკვეთებას გამოხატავენ.

**მ. თუშიშვილი**

## „ხევისბერი გოჩა" სამტრედიის თეატრში

სამტრედიის თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა".

გოჩას როლი ოსტატურად განახორციელა ვ. ლომაიამ. მისი გოჩა დარბაისელი, საზოგადოებისათვის თავდადებული ადამიანი და მოსიყვარულე მშობელია. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი სპექტაკლის ფინალში.

კარგი იყო მათიას როლში გ. კვაჭაძე. ამ როლის განსახიერებით გ. კვაჭაძემ გვიჩვენა თავისი აქტიორული ზრდა.

ძიძიას საინტერესო სახე შექმნა მ. მიქელაძემ. განსაკუთრებით კარგია ძიძია ქორწილისა და ონისესთან შეხვედრისას.

სხვა მონაწილეთაგან აღსანიშნავია: ს. ფახურიძე (გელა), თ. ჩაჩუა (ცქიფა), ბ. სტურუა (ხადილა), ე. ვაშაკიძე (ანო), გრ. კალაძე (ციგრო), დ. კალაძე (ბაჩხო) და სხვ.

# ნ. ბარათაშვილის წერილების ავტოგრაფები

ნ. ბარათაშვილის დღემდე გამოქვეყნებული ზოგიერთი ნაწარმოები არ ემყარება პოეტის ავტოგრაფებს. ზოგი მათგანი გადმოწერილია სხვების მიერ გადაღებულ ასლებიდან. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას პოეტის კერძო წერილების შესახებ, რომლებსაც, ბარათაშვილის შემოქმედების შეფასებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

ამჟამად ნ. ბარათაშვილის 4 წერილის ავტოგრაფი აღმოჩენილია ჩემს მიერ. ამათგან პირველი წერილი მიწერილია გრ. ორბელიანისადმი და სამი — ზაქარია ორბელიანისადმი. ოთხივე ეს წერილი ბარათაშვილის ყველა გამოცემაში დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის მიერ გადაღებული ხელნაწერიდან.

პირველი წერილი — მიწერილი გრ. ორბელიანისადმი, დათარიღებულია 1841 წლის 18 მაისით. ეს ის წერილია, სადაც ლაპარაკია „თბილისში ჭირიანობისა და ჭორიანობის" შესახებ. წერილი შესდგება 4 გვერდისაგან, ზომა 21×13. პირველი გვერდი დაწერილია წვრილი ასოებით, მჭიდროდ და ნაწილობრივ გადადის მეორე გვერდზე, დანარჩენი ორნახევარი ფურცელი დაუწერელია. წერილი შესრულებულია თხელ თეთრ ქაღალდზე და ოთხივე მხრიდან შემოკეცილია.

მეორე წერილი — ზაქარია ორბელიანისადმი, დაწერილია 1844 წლის 10 მაისს. ეს ის წერილია, სადაც ნ. ბარათაშვილი მადლობას უთვლის ორბელიანს თოფის ჩუქებისათვის. ეს წერილიც შეიცავს 4 გვერდს. ზომით იგივეა. პირველი გვერდი მთლიანად დაკავებულია, II და III ნახევრად, ხოლო IV კი თავისუფალია. წერილი შესრულებულია თხელსა და ყვითელს ქაღალდზე.

მესამე წერილი იმავე ზაქარიასადმი, დაწერილია 1844 წლის 15 აპრილს. ეს ის ცნობილი წერილია, სადაც ცხოვრებაზე გულგატეხილი პოეტი გამოთქვამს სურვილს, რომ დასტოვოს საძაგელი ქვეყანა თავისი უძღები ადამიანებით და თავი შეაფაროს ბუნების წიაღში, ეს წერილი რუსულ ენაზეა დაწერილი და იმავე ზომისაა. იგი 4 გვერდზე მჭიდროდ არის დაწერილი. შესრულებულია თეთრ თხელ ქაღალდზე.

მეოთხე წერილი იმავე ზაქარიასადმია მიწერილი, თარიღი არა აქვს. ამ წერილში აღნიშნულია კატოს ქორწილის ამბავი. დაწერილია თხელს თეთრ ქაღალდზე.

აღნიშნული ავტოგრაფები შევადარეთ დღემდე ყველა გამოცემაში უავტოგრაფოდ დაბეჭდილ ტექსტებს და გამოირკვა, რომ მათ შორის მცირე განსხვავებაა. მაგ. გრ. ორბელიანისადმი მიწერილ წერილში გამოტოვებულია ორი სიტყვა. ამ წერილის ავტოგრაფში ვკითხულობთ:

„თუ ქალაქის ამბავი გინდა სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობა და ჭირიანობაა, ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი. დიდი დაძაგრებებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი, **დიდი ტირილი,** დიდი ღამის თევები, დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით".

დღემდე ცნობილ ტექსტში გამოტოვებული იყო ორი სიტყვა **„დიდი ტირილი".**

ავტოგრაფების შეჯერებით დამტკიცდა, რომ ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების გარეშე დაბეჭდილი წერილები ნაკლებად შეიცავენ შეცდომას და შეიძლება მას დაეყრდნოს მკვლევარი. ჯერჯერობით ნ. ბარათაშვილის 6 ლექსის და 6 წერილის ავტოგრაფი ისევ დაკარგულია.

უნდა აღინიშნოს, რომ 1922 წლის გამოცემის რედაქციის შეცდომები უცვლელად განმეორებულია 1939 წლის გამოცემაში; უკანასკნელი გამოცემის რედაქციასაც წერილების ავტოგრაფების უქონლობის გამო უსარგებლია 1922 წლის რედაქციით.

**დოც. პ. მექველია**



უკრაინული სოფლის დარბევა გერმანელ ბარბაროსების მიერ 1942 წ.
სურათი მხატ. მარგარიტა მეტრეველისა.

# დავით აღმაშენებელი

(გაგრძელება)

„ნუ იქმ, უფალო, ნუ იქმ უფალო!.." მერე გაახსენდა, რომ თვითონ იჯდა და სტუმრები თავზე ადგნენ და დარცხვენით წამოიწია:

— დაბრძანდით, ბატონებო, დაბძანდით.

სტუმრები დასხდნენ.

— მიკვირს თქვენ რათ არ გეახლათ? — იკითხა რევაზმა.

— მე მაინც ვლოცულობ ყოველ დღეს... ან იქნებ დაიგვიანა... — მერმე თითქოს თანაგრძნობას სთხოვსო, ბერმა სტუმართ მიმართა:

— შეუძლებელია, შეუძლებელია დავითის სიკვდილი... იგი აღმაშენებელია საქართველოსი... ჯერ მას არ დაუმთავრებია თავისი ღვაწლი უფლისა და სოფლის წინაშე, მაშ ვინღა დარჩეს, თუ იგი მოკვდეს, იგი — უკვდავი. — და ბერს ცრემლები გადმოსცვივდა.

— რა დაგემართა, მამაო?

ბერი შეკრთა, შერცხვა მხურვალე ცრემლების, მოერიდა განუწყვეტელი ლოცვის და თან სიცრუის თქმაც ეზარებოდა...

— დიდხანს ვაკეთებდი საჩუქრად ერთ წიგნაკს... ჯერ კიდევ, როცა ხუროთ-მოძღვრად ვახლდი, მეფემ ბრძანა, ნეტავი დავითნი მუდამ მქონდეს ჯიბეშიო. მაშინ ძნელად მეჩვენა ასეთი შრომის გაწევა, არც მეგონა, თუ მოხერხდებოდა... აქ კი მოვკიდე ხელი. ორი წელი ვსწავლობდი და ვიწრთვნებოდი წვრილ წერაში და აი მივაღწიე. შემდეგ ერთ წელში დავამზადე. მობრძანდით, გაჩვენოთ.

ბერი ჩქარის ნაბიჯით შევიდა სენაკში და გამოიტანა ჰახრაკში ჩადებული პატარა წიგნაკი.

— საუცხოვოა, საუცხოვოა, ოღონდ ნაწერი როგორია, ვერ ვხედავ...

ბერმა ვერ მოითმინა, თავისი ნამოქმედარი რომ არ ეჩვენებინა, ეს მცირე სიამაყე არ გამოიჩინა და ჰახრაკს მოხსნა დაუწყო.

— ნუ ინებებთ, ნუ ინებებთ.

— არაფერია, ერთი წუთი, გადახედავთ და ისევ შევკრავ.

— მშვენიერი ნაწერია, მართლაც... ასე წვრილი და თან ასე გარკვეული... საკვირველია!

— რომ ვეღირსებოდე, — მეფე ჯიბეში ჩაიდებდეს...

— გისმენს უფალი!

ბერმა ისევ ჰახრაკში ჩადვა წიგნი და ისევ რევაზს და ბეგლარს მიუბრუნდა.

— გეტყობათ, საშინელ ავდარში გზამ მეტად დაგქანცათ, სიმშვიდე და მოსვენება გსურთ, ალბათ, ოღონდ მოგვიტევეთ ღვთის მსახურთ, თუ საკადრისად ვერ მოგასვენოთ.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, მამაო, მიჩვეული ვართ, არაფერი გვჭირდება, — მიუგო რევაზმა, ორივემ პირჯვარი გადისახეს და ნაბდიბდ დაიგეს.

ბერი კი ხატის წინ დაჩოქილი კიდევ დიდხანს ლოცულობდა...

დაღლილ-დაქანცულთ უსარკმლო ოთახში ვერ შეამჩნიეს გათენება. რეკამ გამოაღვიძათ. წამოხტნენ.

ბერსა და მორჩილს დილის ლოცვა უკვე გაეთავებინათ და დიდის მზრუნველობით მოვლილ პატარა ეზოში ფუსფუსებდნენ...

რაც კი რამ ხელს შეეძლო, არ დაკლებოდა ბუნებით ნოყიერ ამ ორიოდე დღიურ მიწას. კლდიდან ჩამოვარდნილ პაწია ნაკადულს, ყინვასავით ცივს და ბროლსავით გამჭვირვალეს, აებრუნებია წისქვილი და აელაპარაკებინა საცეხველი. მათ ახლო იდგა საკვირველად მოვლილი, ფეხზე დამდგარი კოდები სკით... ბალახობდა მეწველი თხა და ხბოიანი ძროხა... იქვე რამდენიმე ბატი დაბაჯბაჯებდა. „ბატები კალმისათვის ეყოლება ბერსო", გაიფიქრა რევაზმა.

კვალებში მოსჩანდა ახრდილისებური სუსტი კამა, თავშეხვეული პრასი და ხახვი; ოხრახუშის კვალს შეპაროდა კვახის ღერო, მაგრამ უკუქცეული უერთდებოდა ბიჯგებზე ასულს კიტრისა და ნესვის ბარდებს... ვაზები შემოხვეოდნენ ხურმისა და ბუოლის ტოტებს, ვით სურო რცხილასა და მუხას... ლოყაშეწითლებული ატმები, ტუჩ-გაპობილი ლეღვი... გაცლილი ხე ქლიავისა და მსხლისა... მოშორებით ნაპურალი, და ირგვლივ ვით დარაჯნი სულისა, ბუნების კელაპტრები, — ნაძვები და კვიპაროსები.

— მართალი ბრძანებულხართ. უკვე იყო წმიდა მამის შიკრიკი, დიდი ზარი ავალაპარაკე... იქნებ, ამ უდაბნოშიაც იყოს ვინმე ქრისტიანი — მისი ლოცვა არ დაეკარგოს მეფეს.

ბეგლარმა ცხენები მოიყვანა.

— მოითმინეთ, მეც თქვენთან წამოვალ!

— თქვენ ჩვენთან ვერ ივლით, მამაო, ჯერ პარაკლისი უნდა გადიხადოთ და თან ჩვენ სულ ჭენებით ვივლით.

— გმადლობთ, მამაო!

— გზა კეთილი!

— დაგვლოცე, მამაო.

— დაგლოცოს უფალმა!

ბეგლარი და რევაზი გაჰყვნენ პატარა ბილიკს, რომელიც დაეტოვებინა ბუნებას მონასტრის ეზოსათვის ქვეყნიერებასთან შესაერთებლად და რომლის თავზე კოშკი მოსჩანდა, ამ კოშკში წინდახედულ ბერებს მოეწყოთ წყლის ასადუღებელი ქვაბები, დაეწყოთ ხმელი თივა მტრისათვის ცეცხლის სასროლად და აეზიდნათ ლოდები.

მონასტრის პატარა ეზო მზისკენ ციცაბო ნაპრალით თავდებოდა, უკან თვალუწვდენელ გატიტვლებულ სალ კლდეებს ეკვროდა; მათ შორის, შხუოდა გიჟმაჟი მდინარე, რომლის წინ ყოველი შემთხვევისათვის ორი კაცის სიმაღლე ჭვრიტიმალებიანი ქვიტკირი იყო გავლებული.

რევაზმა გადაავლო იქაურობას თვალი და გამოცდილმა მეომარმა შენიშნა, რომ აქ ოთხი-ხუთი კაცი ადვილად გაუმაგრდებოდა მომხვდურ ასორას კაცს...

რევაზმა და ბეგლარმა ცხენები თითქმის გააჭენეს.

აქა-იქ ხვდებოდნენ თითო-ოროლა კაცს, ჩქარის ნაბიჯით ეკლესიისაკენ მიმავალს... ერთ ადგილას ნახეს მრავალი ასეული ძუძუმწოვარა ბავშვებით დაჩოქილნი—ღმერთის მავედრებელნი; მზეც ძლიერ ანათებდა, თითქოს მართლაც ბრწყინვალე ღმერთი, ხალხის ერთსულოვნებით განცვიფრებული და გახარებული, უსმენდა ქვეყნის ღაღადს.

ბორანს მრავალი ხალხი მისწყდომოდა.

რევაზი შედგა.

— ჯერ სხვები არიან, ბატონო, გადასაყვანი, — გაახსენა მებორნემ.

— გახსენი ბორანი, გაიარე!

— მეფე კიდევ ცოცხალია, რას მიბღვერ, — შეუტია მებორნემ.

— დაეთხოვე, აქ ასეთი წესია, — ჩაერია ბეგლარი. ძმაო, — მიუბრუნდა ბეგლარი მებორნეს, — ჩვენ მეფეს უნდა ჩავუსწროთ, ვინ იცის, რა მოხდება, დიდი საქმე გვაქვს, — ამ ხალხსაც არ ეწყინება...

— არა, ბატონო, მიბრძანდი, — დაუთმო გზა ერთმა მოხუცმა, მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს.

— ჰო, მეფესთან თუ მიგეჩქარებათ, სხვაა! ასე რად არ იტყვი?

ხალხი ბეგლარს და რევაზს მიესია.

— იცით, ბატონო, რამე ამბავი? არ გაგვწირავს ღმერთი?

— არ ვიცი, ძმაო. მითხრეს კი ცუდად არისო და მივექანებით.

— ვაი ჩვენი ბრალი... უკვე კბილს კრეჭს არაბი, სისინებს ოსი, — ყველა მოელის სიხარულით, როდის ჩამოიქცევა ჩვენი კედელი და საფარი... და შინაურობაშიც შეიქნება თარეში და გატაცება, ძარცვა...

— ვაი ჩვენი ბრალი... ძლივს მოვესაწრით სულის ამოთქმას და ნუთუ ისევ ტყე-ღრეში უნდა შევაფაროთ თავი?!...

**(დასასრული იქნება)**

ხალი წიგნები

## გალაკტიონ ტაბიძე—„რჩეული"

სახელგამმა ამ დღეებში გამოსცა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების ერთტომეული. წიგნი შესდგება ხუთი განყოფილებისაგან; ლექსები წარმოდგენილია არა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის, არამედ უფრო თემატიკური პრინციპის მიხედვით.

წიგნის პირველ განყოფილებაში ვეცნობით მგზნებარე, პატრიოტიზმის ცეცხლით აღსავსე, მაღალ-მხატვრულ ციკლს ლექსებისას, რომლებიც პოეტმა დიდი სამამულო ომის წლებში დასწერა. აქ არის ცნობილი „მშობლიურო ჩემო მიწავ", „მამულო სიცოცხლეო", „ღრუბლები ძაუგთან", „თასი" და სხვები. ამ ლექსებმა საყოველთაო პოპულარობა მოიპოვეს, რადგან ისინი უშუალოდ, გულწრფელად გამოხატავენ მილიონობით ადამიანების მისწრაფებას, მათს უღრმეს სიყვარულს სამშობლოსადმი.

წიგნის სხვა განყოფილებანი — თემატიურად უაღრესად მრავალფეროვანია, გალაკტიონის ლექსები ამ წიგნში,—პოეტის შემოქმედების რა ეტაპსაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი,—ინარჩუნებენ იმ რომანტიულ მღელვარებას, შინაგან ლირიულ პათოსს და სიწრფელეს, იმ მხატვრულ ძლიერებას, რომლის წყალობით პოეტმა დაიმკვიდრა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ბრწყინვალე ოსტატის სახელი.

წიგნს დართული აქვს შალვა რადიანის შესავალი წერილი, რომელშიაც მოკლედ განხილულია პოეტის შემოქმედების უმთავრესი ეტაპები.

წიგნი საუცხოვოდ არის გამოცემული. ტირაჟის ნაწილი ჩასმულია ლიდერინის ყდაში. წიგნს დართული აქვს გალაკტიონ ტაბიძის სურათი და ყოველი განყოფილების დასაწყისი შემკულია ორნამენტური ჩანახატებით.

წიგნი შეიცავს 504 გვერდს და ღირს 100 მან.

## კორნელი კეკელიძე—„ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან"

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ახალ სასწავლო წლისათვის გამოსცა კორნელი კეკელიძის ხსენებული შრომა. წიგნი დიდი ფორმატისაა და შეიცავს 360 გვერდს. წიგნის რედაქტორია ალ. ბარამიძე. ამ ნაშრომში დაბეჭდილია შემდეგი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევები: ქართული საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემისათვის, „წმინდა" მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში, „სამიჯნურო ცდუნების" პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში, ძველი ქართული „ავანტიურული რომანი" და მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, „ბაში-აჩუკის" ერთი ეპიზოდისათვის, „ივლიანეს რომანის" კვალი ადრინდელს ქართულ მწერლობაში, „ბარამ-გურიანის" ნოველათა სუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში, ორი „მოხეტიალეს" სუჟეტისათვის ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელები, ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში, გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველს საქართველოში, კ. ჰიჰინაძის მიერ გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი", პოემა „სამარდიანი", ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, „ნინოს ცხოვრების" მატიანესეული რედაქციის ავტორი, აღმოსავლური სუფიზმის ანარეკლი ძველ ქართულ პოეზიაში, ალიშერ ნავოი ძველ ქართულ ლიტერატურაში, ნიკიფორე ირბახი—ინიციატორი ქართული სტამბისა რომში, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში (ძველი დათარიღებისათვის), ქრისტიანიზმი და მითრაიზმი (რელიგიურ სისტემათა ისტორიისათვის საქართველოში).

თვით ავტორს ამ წიგნისათვის წამძღვარებული აქვს შესავალი.

## ალექსანდრე ბარამიძე—„ნარკვევები"

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ მეორეჯერ გამოსცა ალ. ბარამიძის ხსენებული ნაშრომი, რომელიც შევსებულია და გადამუშავებული. ნაშრომი დიდი ფორმატისაა, შეიცავს 422 გვერდს და ღირს 60 მანეთად. პირველ ტომში შედის შემდეგი ნარკვევები: 1. ძველი ქართული საერო მხატვრული ლიტერატურის წარმოშობისათვის, 2. „ამირან-დარეჯანიანი", 3. „ვისრამიანი", 4. „აბდულ-მესიანი", 5. „ვეფხის-ტყაოსნის" პროლოგ-ეპილოგის საკითხისათვის", 6. „ანვარი სოჰაილის" ანუ „ქილილა და დამანას" ქართული ვერსიები, 7. „ქილილა და დამანას" საილუსტრაციო ტექსტები და 8. წერილები ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე, როგორიც არის: „ამირან-დარეჯანიანის" ახალი გამოცემის გამო, ილია ჭავჭავაძე და „ვისრამიანი", „აბდულ-მესიანის" რუსული თარგმანის გამო, ერთი ცნობა „ვეფხის-ტყაოსნის" დევების ისტორიიდან, ვახტანგისეული „ვეფხის-ტყაოსანი" 1712 წლისა (აღდგენილი აკ. შანიძის მიერ), „ვეფხის-ტყაოსნის" ახალი ხელნაწერის მოკლე აღწერილობა. ნაშრომს დართული აქვს აგრეთვე პირთა სახელების საძიებელი და ავტორის ბოლოსიტყვაობა.

წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

## ს. ყაუხჩიშვილი—„ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია"

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ბეჭდავს და ახალ სასწავლო წლისათვის გამოსცემს ს. ყაუხჩიშვილის ზემოდასახელებული ნაშრომის მე-3 განაკვეთს, რის შემდეგ ცალკე წიგნად გამოვა, აგრეთვე მთლიანად, სამივე განაკვეთი. პირველი და მეორე განაკვეთი ცალკე წიგნებად გამოვიდა 1944-45 წლებში.

## „არინა" თელავის თეატრში

თელავის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გ. დარისპანაშვილის „არინა".

პიესა დადგა თვით ავტორმა, — რესპ. დამს. არტისტმა გ. დარისპანაშვილმა. სპექტაკლში რეჟისორული მოფიქრების თვალსაზრისით განსაკუთრებით კარგადაა შესრულებული მასიური სცენები ბოშათა ურდოში.

არინას როლს მსახიობი მ. ლალაშვილი ასრულებს. ეს ახალგაზრდა მხიარული, დაკვირვებული ბოშა ქალის განსახიერებაა. არინა სტოვებს ბოშათა ბანაკს და წითელი არმიის მებრძოლთა რიგებს უერთდება; ლალაშვილი ამ სახეს კარგად ანსახიერებს. უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობს სუსტად აქვს დამუშავებული ბოშური სიმღერები, რაც ნაწილობრივ ასუსტებს მაყურებელთა შთაბეჭდილებას.

ბოშათა ატამანი მაკარის საინტერესო სახეს ქმნის მსახიობი ვახტანგ ჩელთისპირელი.

სხვა მსახიობებთან აღსანიშნავი არიან ვ. პაპაიანი (კოსტა), ალექსი კუპატაძე (კუზმა), ს. ბეჟანიშვილი (აჯიხანი), ქ. მჭედლიშვილი (სულიკო), ვ. მაისურაძე (ზურაბი), გ. მამუჩიშვილი (ჯიბუტი), გ. კევლიშვილი (სანდრო) და ა. ჯინჭარაშვილი (შალვა).

მხატვარ მარი შამანაურს გამოუძებნია სათანადო ფერები კავკასიის მდიდარი და წარმტაცი ბუნების გამოსახატავად.

მუსიკა, რომელიც რ. გოგნიაშვილს ეკუთვნის, ბოშური სიმღერებისათვის დამახასიათებელი წარმტაცი მელოდიურობით ჟღერს. ცეკვებს, ქორეოგრაფ დ. მაჭავარიანის დადგმით, ხალისი შეაქვს სპექტაკლში.

**მ. ზურაბოვი**

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ. მგ. რედაქტორი), შ. რადიანი,
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი
(რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 3-64-11)

1945—46 სასწავლო წლისათვის
ანარმოებს მიღებას

სამსახიობო, სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე

სამსახიობო ფ-ტი ამზადებს დრამატიული თეატრის მსახიობებს;
სარეჟისორო ფ-ტი — რეჟისორებს;
თეატრისმცოდნეობის ფ-ტი - თეატრის თეორეტიკოსებს და ისტორიკოსებს, რეცენზენტებს, თეატრის სალიტერატურო ნაწ. გამგეებს და ხელოვნების დაწესებულებათა თანამშრომლებს.

ყველა ფაკულტეტზე შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები სპეციალობაში. გარდა ამისა სარეჟისორო და თეატრის მცოდნეობის ფ-ტებზე შემსვლელთ უნდა ჰქონდეთ არა ნაკლებ 2 წლის შემოქმედებითი ან ორგანიზაციული და პრესაში თანამშრომლობის (თეატრის მცოდნეობის განხრით) სტაჟი.

ყველა ფაკულტეტზე არა მედალოსნებმა და არაფრიადოსნებმა უნდა ჩააბარონ შემდეგი საგნები:
1. ს. ს. რ. კ. ხალხთა ისტორია.
2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერითი).
3. რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერითი).
4 უცხო ენა შემომსვლელის არჩევით (ზეპირი და წერითი) თეატრისმცოდნეობის ფ-ტზე.

გამოცდები ჩატარდება 20 აგვისტოდან, კონსულტაციები 17-18 აგვისტოს.
სტიპენდიები საერთო წესით. განცხადებების და ცნობების მიღება სწარმოებს ყოველდღე 12 საათიდან 3 საათამდე, გამოსასვლელი დღეების გარდა, ინსტიტუტის კანცელარიაში.

დირექცია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 18. ტელეფონი 8-47-10. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი".
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უმ 07962